

K 247776  
3

ალექსანდრე დაუშვილი  
კობა წენგუაშვილი

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



„ქ სიკვდილი განა  
ბეჯნიერება  
ან არის, თამარ!“

787159

3

ალექსანდრე დაუშვილი  
კობა წენგუაშვილი



---

„ეს სიკვდილი განა  
ბეკნიერება  
ან არის, თამარ!“

---



თბილისი  
2005



ნაშრომში ახალი საარქივო მასალის, სპეციალური დამემუარული ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე გადმოცემულია საქართველოს ეროვნული გმირის - ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრებისა და გმირული ბრძოლის ისტორია. მისი მოღვაწეობის ზოგიერთი ფაქტი პირველად ქვეყნდება.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიით დაინტერესებული მკითხველთათვის.



რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფ. ა. სონღულაშვილი

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდიდატი ლ. ნანიკაშვილი  
ისტ. მეცნ. კანდიდატი მ. ხარბედია

K 24 9796

წიგნი გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობაში "მემატინანე"

გამომცემლობის რედაქტორი \_ ლ. კოტრიკაძე  
კომპიუტერული უზრუნველყოფა \_ მ. ბუტიკაშვილის



ჩოლოყაშვილების საგვარეულო იმ დიდებული ქართველი თავად-აზნაურების რიგს განეკუთვნება, რომელთა წარმომადგენლებმა საქართველოს ისტორიაში სამშობლოსადმი უნაგარო სიყვარულისა და გმირული თავდადების მრავალი დაუვიწყარი ფურცელი ჩაწერეს. მათ შორის იყვნენ მხედართმთავრები და სახელმწიფო მოხელენი, მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელმთავარნი და ამა ცხოვრების მშვენიერების პოეტურად მეხოტბენი - მგოსნები. საკმარისია გავიხსენოთ დიდი მამულიშვილი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბახი) - პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის გამომცემელი. რომში საფუძვლიანი განათლების მიღების შემდეგ, მან 1629 წელს გამოსცა ქართულ-იტალიური ლექსიკონი და „ლოცვანი“.

მარადიული დიდების შარავანდედით გაბრწყინებულმა ბიძინა ჩოლოყაშვილმა, კახეთის 1659 წლის აჯანყების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, თავის თანამებრძოლ შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებთან ერთად, საკუთარი სიცოცხლის ფასად, კახეთი ირანის სახანოდ გადაქცევას გადაარჩინა და ამით სამარადისო დიდება დაიმკვიდრა.

ამ საგვარეულოს წარმომადგენლებს გულით უყვარდათ მშობლიური ქართული ენა, გრძნობდნენ მის კეთილხმოვანებასა და ემოციურ სიღრმეს. ამიტომაც მათ შორის პოეტიც არა ერთი იყო - ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი (გარდაიცვალა 1613 წელს), დავით ჩოლოყაშვილი (1735-1810), მაგრამ უფრო ხშირად კი ჩოლოყაშვილები მაღალ სახელმწიფო თანამდებობაზე, კახეთის მეფეთა სახლთუხუცესებად ინიშნებოდნენ - გარსევან ჩოლოყაშვილი (XI ს.), შერმაზან ჩოლოყაშვილი (XI-XII სს.), რევან ჩოლოყაშვილი (XII ს.).

ჩოლოყაშვილები ნათესაურ ურთიერთობაში იყვნენ საქართველოს სამეფო საგვარეულოსთან - ბაგრატიონებთან, თვით ერეკლე II-სა და გიორგი XII-სთან. ცნობილია, რომ მეფე გიორგი XII-ის ვაჟს, ბაგრატს, ცოლად შეურთავს დურმიშხან ჩოლოყაშვილის ქალიშვილი ეკატერინე. ჩოლოყაშვილთა საგვარეულოს უმშვენიერესი მანდილოსნები ქართველი ბატონიშვილების ღირსეული მეუღლენი იყვნენ და ჩინებულ შვილებს უზრდიდნენ სამშობლოს.

საისტორიო ანალებმა ამ დიდებული საგვარეულოს ბევრი ღირსეული წარმომადგენლის სამშობლოსადმი თავდადების, ერთგული სამსახურის, მასზე რუდუნებით ზრუნვისა და მისი ინტერესებისათვის ბრძოლის არა ერთი მაგალითი იცის. ყოველივე ამან ჩამოაყალიბა თავისუფლებისადმი სიყვარულის ის უნიკალური საგვარეულო ტრადიცია, რაც ყოველთვის ახასიათებდათ ჩოლოყაშვილებს და რამაც ისინი თვით რუსეთის იმპერატორის დესპოტიის წინააღმდეგ მებრძოლნიც კი გახადა. ისტორიამ შემოგვინახა ცნობა ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის შვილიშვილის, ზაქარია ჩოლოყაშვილის შესახებ, რომელსაც რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ძალმომრეობით მოსპობის გამო გულმოსულს, საჯაროდ განუცხადებია: „ხანდახან ისეთ გულზე მოვდივარ, რომ მზად ვარ ხელმწიფეს ხმალი ვკრა, როცა ის ნევის გაშხირზე დასეირნობს“.

ამ სიტყვების ავტორი 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილე იყო, რომელიც უკვე XIX საუკუნის 30-იან წლებში მოწინავე ქართველ თავად-აზნაურებთან ერთად რუსეთის უღლისაგან საქართველოს განთავისუფლებას ცდილობდა. საუკუნეთა მანძილზე თავისუფლებისადმი დაუოკებელი სწრაფვა ამ საგვარეულოს წარმომადგენლების მთავარი მახასიათებელი იყო. ქართველი ისტორიკოსები სამართლიანად მიუთითებენ, რომ „ჩოლოყაშვილებს ახასიათებდათ უკომპრომისო და თანმიმდევრული ბრძოლა ჩაგვრის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ. ისინი განუხრელად მისდევდნენ თავის პრინციპებს და საშიშროების წინაშე არასოდეს არ იხრიდნენ ქედს“ (თ. კუკავა).

ჩოლოყაშვილების საგვარეულოდან სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით, მისი მტრების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლით და რაინდული შემართებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე, მამულისათვის თავდადებით მებრძოლი და მისი ჭირის გაშხირებელი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი. მისი პიროვნების ფორმირებაში, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ მის მშობლებს - იოსებ ჩოლოყაშვილსა და დარო გოგნიაშვილს.

იოსებ ჩოლოყაშვილი სოფელ მატანის მკვიდრი იყო. სწორედ აქ შეხვდა ის თავის მომავალ მეუღლეს დარო გოგნიაშვილს და მასთან ერთად ტრადიციული ქართული ოჯახი შექმნა. დაროს

მამას ზაქარია გოგნიაშვილს ქალიშვილისათვის მზითევად უზარმაზარი ზერები მიუცია. ოჯახი შეძლებულად და სრული ჰარმონიით ცხოვრობდა, გამეფებული იყო ურთიერთ პატივისცემა და სიყვარული, მართლმადიდებლობისა და სამშობლოსადმი ერთგულების ტრადიციული გრძნობა. სწორედ ამ პრინციპებზე ზრდიდნენ მშობლები შვილებს: შაქროს, სიკოს, ანოს, ქაიხოსროს (ქაქუცას) და კატოს.

შემორჩენილია სიძველის გამო გაყვითლებული ოჯახური პორტრეტი. აქ მშობლები ეროვნულ ტანსაცმელში არიან გამოწყობილნი და შვილებთან ერთად სკამებზე ჩამომსხდარან; ბავშვები ცენტრში, ხოლო მშობლები მათ გვერდით - ეს ყველაფერი ოჯახური იდილიის მხატვრულ სახეს ქმნის. ამ სურათზე ქაიხოსრო ცენტრში, დაბალ სკამზე ზის. მარჯვენა ხელი გულთან აქვს მიდებული და ასე გგონია, რომ პატარა ბიჭი უკვე ამ წლებში პირდება თავდადებასა და ერთგულებას სრულიად საქართველოს.

ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი 1888 წლის 14 ივლისს, კახეთის სოფელ მატანში დაიბადა. პირველდანიყებითი განათლება მიიღო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. ოცდაერთი წლის ასაკში რუსეთის სამხედრო შენაერთებში გაიწვიეს. მსახურობდა ტვერის დრაგუნთა პოლკში, სადაც ოფიცრის ჩინიც მიიღო. ჯარიდან დაბრუნებული, ოფიცრის ეპოლეტებით დამშვენებული, ჩინებული გარეგნობის ახალგაზრდა, კახეთის თავადისშვილებს შორის გამოირჩეოდა სიღარბაისლითა და ვაჟკაცობით. არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ქაქუცა „ისეთი თვისებებით დაეჯილდოებინა ბუნებას, ათას კაცში რომ აგერიათ, სრულიად უცნობი ადამიანიც კი მიაქცევდა მას ყურადღებას“ (ალ. სულხანიშვილი).

1913 წელს, როცა მთელი რუსეთი რომანოვების სამეფო ტახტზე ასვლის 300 წლის იუბილეს ზეიმობდა, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა ცოლად შეირთო კახელი თავადის, ილია მეღვინეთუხუცესის მხოლოდშობილი ასული - ნინო. ქორნილი, ქართული ტრადიციისამებრ, ხალხმრავალი და უხვი იყო. მნახველი იგონებს: „სალამო ხანს გაისმა თოფების ხმა და ეზოში მაყრიონმა შემოაჭენა ცხენები. ყველანი ჩერქეზკებში იყვნენ გამოწყობილნი და ხმალამოლებულნი. გაისმა მხიარული სიმღერა და ცოტა ხანში გამოჩნდა ქაქუცაც თეთრ ჩოხაში და თეთრ ცხენზე. თან ახლდნენ თავისი ძმები სიკო და შაქრო და მეგობრები, გაჩაღდა ცეკვა-თამაში. გაშალა ხელები და თეთრ, ქათქათა კაბაში გამოწყობილი მშვენიერი, ნაზი, ლამაზი ნინა გადაიყვანა საცეკვაოდ“ (ნ. ავალიშვილი).

საოცარი სიყვარულით უყვარდა ქაქუცას საკუთარი მეუღლე, ოჯახური კერა, მაგრამ მალე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და იძულებული გახდა ფრონტზე წასულიყო. მისი საბრძოლო შემართება ერთნაირად ალაფროთოვანებდა მამაცსაც და მხდალსაც. მისი თანამებრძოლი ალ. სულხანიშვილი იგონებდა: „ჯარისკაცი როგორი მხდალიც არ უნდა ყოფილიყო, საუკეთესო ვაჟაკად იქცეოდა ქაქუცას ხელში“.

1914 წლის დასასრულს, ავსტრიაში, ერთ-ერთი ბრძოლის დროს ქაქუცა დაიჭრა, შეერყა ჯანმრთელობა და კავკასიის ფრონტზე გადმოიყვანეს. აქ ის ზურგის ჯარის ასეულს ხელმძღვანელობდა. სამხრეთის ფრონტზე კი მოვლენები ელვისებურად ვითარდებოდა: თურქებმა მოულოდნელად სარიყამიშზე იერიში მიიტანეს. აქრუსებს მცირერიცხოვანი და ცუდად შეიარაღებული ჯარის ნაწილები ჰყავდათ დისლოცირებული. ფრონტის ხელმძღვანელობამ ქაქუცას სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნერტილის - „არწივის ბუდის“ თურქი ასკერებისაგან განთავისუფლება დაავალა. ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ეს ოპერაცია ბრწყინვალედ განახორციელა და მოწინააღმდეგე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პოზიციებიდან განდევნა. ამ ბრძოლაში ის ფეხში დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიატოვა და ადგილზე დარჩა. მომდევნო ბრძოლებში ქაქუცა ისევ დაიჭრა მკერდის არეში. ამან აიძულა სერიოზული მკურნალობის კურსი ჩაეტარებინა თბილისის ჰოსპიტალში. ცნობილმა ქართველმა ექიმმა გრიგოლ მუხაძემ ქაქუცა ძალიან მალე დააყენა ფეხზე.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე დემობილიზებული იყო, ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი დაუდეგარი ბუნებით ვერ ეგუებოდა მდორე, ერთფეროვან სამოქალაქო ცხოვრებას. ის ერთ-ერთი პირველი შევიდა ახლად ჩამოყალიბებულ ქართველ ცხენოსანთა რაზმში. ძალიან მალე ეს სამხედრო შენაერთი გადაისროლეს სპარსეთის ფრონტზე. აქ ქაქუცა ჩოლოყაშვილი გაეცნო იაკობ ფანოზაშვილს, რომელიც შემდგომში მისი ერთ-ერთი პირველი ძმადნაფიცი გახდა. ქაქუცას მეთაურობით ქართველმა მხედრებმა განახორციელეს ლეგენდარული რეიდი სპარსეთის ფრონტზე. მათ პაპანაქება სიცხეში გადაკვეთეს მესოპოტამიის უდაბნო და მდინარე ტიგროსის ნაპირებთან მოკავშირე ინგლისელების საექსპედიციო კორპუსს შეუერთდნენ. ისტორიკოსების შეფასებით: „ეს თითქმის ავანტიურული სამხედრო ოპერაცია იყო. რუსეთის ჯარის სარდლობის სტრატეგიული სვლა გერმანიის მოკავშირე თურქეთის არმიის ზურგში ორი მოწინააღმდეგე ქვეყნის არმიების

შეერთება მეტოქეს ბევრ უსიამოვნებას უქადდა. ზურგში ახალი ფრონტი იხსნებოდა, ამიტომ თურქეთმა უმალ გადაისროლა ჯარები მესოპოტამიაში და შეასუსტა კავკასიის ფრონტზე, ბათუმის მიმართულებით შეტევა. ქაქუცას რაზმის გაგზავნის მიზანიც სწორედ ეს იყო. აღნიშნული რეიდი სამხედრო ხელმოწერის ბრწყინვალე ნიმუშადაა მიჩნეული" (გ. შარაძე). ამის გამო რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი წმ. გიორგის ჯვრით და ოქროს ხმლით დააჯილდოვა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციისა და მონარქიის დამხობის შემდეგ სამხრეთის ფრონტი მთლიანად მოიშალა. ჩამოყალიბდა რუსეთის დროებითი მთავრობა, რომელმაც შექმნა ამიერკავკასიის კომისარიატი. მაგრამ რუსეთის დროებითმა მთავრობამ ვერ უზრუნველყო ვერც ეკონომიკური კრიზისის შეჩერება, ვერც ფრონტზე სტაბილურობის შენარჩუნება და, რაც მთავარია, ბოლშევიკური ავანტიურის თავიდან აცილება. 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში დამყარდა ბოლშევიკური დიქტატურა.

ამიერკავკასიის ხალხებმა არცნეს ბოლშევიკური გადატრიალება. მათთვის მით უფრო მიუღებელი იყო ლენინის მიერ მოწონებული ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც საქართველოს ისტორიული ტერიტორიები კვლავ თურქეთის ხელში გადადიოდა. მაგრამ თურქებს ესეც არ აკმაყოფილებდათ. სამხრეთ კავკასიას აშკარად დაემუქრა თურქეთის ოკუპაციის საფრთხე. რთულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, აზერბაიჯანელი პოლიტიკური ლიდერების პან-თურქულმა განწყობამ ამიერკავკასიის ერთიანობა ეჭვქვეშ დააყენა. საქართველო იძულებული გახდა რთული პოლიტიკური ვითარებიდან გამოსავალი დამოუკიდებლად მოეძებნა, რათა შეენარჩუნებინა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და შეეჩერებინა თურქეთის აგრესია. 1918 წლის 26 მაისს გერმანიის დახმარებით საქართველომ დაიბრუნა ნანატრი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

მრავალტანჯულ საქართველოში ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადებამ მოსახლეობის უდიდესი ნაწილის საოცარი ენთუზიაზმი გამოიწვია. რიგითი ადამიანები ზეიმობდნენ, ერთმანეთს ულოცავდნენ ასწლიანი მონობის შემდეგ სანუკვარი თავისუფლების დაბრუნებას.



საქართველოს ახალი ხელისუფლება, რომელიც მთლიანად სოციალ-დემოკრატებით დაკომპლექტდა, აყალიბებდა ახალ სახელმწიფო სტრუქტურებს, მათ შორის სამხედრო ფორმირებებსაც. მაგრამ აქ თავი იჩინა სოციალ-დემოკრატების იდეოლოგიურმა შეზღუდულობამ, რადგან ფიქრობდნენ, რომ რეგულარული ჯარი უნდა შეცვლილიყო სახალხო შეიარაღებით. ჯერ კიდევ რსდმპ II ყრილობაზე (1903 წ.) მიღებულ პროგრამაში ხაზგასმული იყო სოციალ-დემოკრატების მიზანი - "მუდმივი ჯარის შეცვლა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით".

აქედან გამომდინარე, დემოკრატიული საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება რეგულარული არმიის ჩამოყალიბებას ნაკლებ ყურადღებას უთმობდა და ძირითადი ყურადღება გადატანილი ჰქონდა სახალხო გვარდიის ფორმირებაზე. ეს სოციალ-დემოკრატიული ილუზია შემდგომში ძვირად დაუჯდა საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილი ქართულ ჯარში მსახურობდა და, როგორც გამოცდილი და მამაცი ოფიცერი, მონაწილეობას იღებდა ქართული მხედრობის მიერ წარმოებულ ყველა ბრძოლასა თუ სამხედრო ოპერაციაში. მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება უპარტიო თავადს, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს მაინცდამაინც არ ენდობოდა, რადგან პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მეხოტბე მთავრობა მასში მაინც „ბრწყინვალე თავადს“ ხედავდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი თვეები მეტად მძიმე სოციალური, ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ვითარებით გამოირჩეოდა. კვლავ მიმდინარეობდა პირველი მსოფლიო ომი, მეზობელი ქვეყნები: თურქეთი, რუსეთი და სომხეთი ისტორიულ ტერიტორიებს ედავებოდნენ ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს. საქართველოს მთავრობამ მოხერხებულად აიცილა თავიდან შამქორის ინციდენტი. ამ დროს განაიარაღეს ბოლშევიკურად განწყობილი რუსი ჯარისკაცები, რომელთა დახმარებით ქართველი ბოლშევიკები თბილისში კომუნისტურ გადატრიალებას აპირებდნენ. დიდი ტერიტორიული დანაკარგებით, მაგრამ მაინც მოხერხდა თურქეთის აგრესიის შეჩერება, შეძლეს ბოლშევიკური აგიტაციით გაბრუებული სამაჩაბლოს ოსური მოსახლეობის დაშოშმინება და ა.შ.

ყველა ეს წარმატება აყალიბებდა ქართული ეროვნული სამხედრო ფორმირებების მხედრულ ტრადიციას, რომელსაც თავიდანვე ერთი სერიოზული ნაკლი დაჰყვა - პარტიული იმპერატივი. ეს განსაკუთრებით საბედისწეროდ 1921 წლის თებერვლის დასაწყისში გამოვლინდა ლორეს პროვოკაციის დროს. ლორეს ნეიტრალურ ზონაში ქართველთა 7 ათასკაციანი სამხედრო შენაერთი იყო დისლოცირებული. კომუნისტურად განწყობილმა სომეხმა მოსახლეობამ რუსების ხელშეწყობით პროვოკაცია მოაწყო. ნ. ჟორდანიას ამასთან დაკავშირებით იგონებდა: „11 თებერვალს აჯანყდნენ ბორჩალოს სომხები. გარეკეს ჩვენი ჯარი... მაშინვე დავიბარე ოდიშელიძე (ის იყო მთავარსარდალი - ავტორები) და მოვსთხოვე ამ სირცხვილის ანგარიში. მან მომცა ასეთი განმარტება: ჯარი დამარცხდა იმიტომ, რომ იყო დანაწილებული და შეერთება ვერ მოასწრეს... ეს მოახდინა დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარემ ა. ჩხენკელმა დეკემბერში“. ნ. ჟორდანიას მოგონებებიდან ირკვევა, რომ საქართველოს მთავრობას ჰქონდა ცნობა ბორჩალოს მაზრაში აჯანყების პროვოცირების შესახებ და ამტკიცებდა, რომ გენერლებს სრული „კარტბლანში“ მისცეს, მაგრამ მხოლოდ კატასტროფის შემდეგ გაიგო თუ როგორ იყვნენ ნეიტრალურ ზონაში ქართული საჯარისო ფორმირებები დისლოცირებულნი და, რაც მთავარია, ამას აკონტროლებდა და აწესრიგებდა არა სამხედრო ხელმძღვანელობა, არამედ პოლიტიკური მოღვაწე, დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარე აკ. ჩხენკელი. რა თქმა უნდა, სწორედ ამაში იყო კატასტროფის მიზეზი. პროფესიონალი სამხედროების (მაშინ ასეთები საქართველოში საკმაოდ იყვნენ: გენერალი გ. მაზნიაშვილი, გენერალი გიორგი კვინიტაძე, პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი, ოფიცერი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი და მრავალი სხვა) კომპეტენტური აზრი ხშირ შემთხვევაში უგულებელყოფილი იყო, მათგან ბევრს არ ენდობოდნენ მაღალი არისტოკრატიული წარმოშობის გამო, იმედოვნებდნენ, რომ მუშებისა და გლეხებისაგან დაკომპლექტებული სახალხო გვარდია თავისი „რევოლუციური შემართებით“ მოხსნიდა ყველა სამხედრო პრობლემას და დაიცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

ასეთი ილუზია რუს ბოლშევიკებსაც ჰქონდათ, რაც საპნის ბუშტივით გაქრა 1918 წლის თებერვალში, პეტროგრადის მისადგომებთან, როცა შეიარაღებულმა მუშებმა ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს გერმანიის რევოლუციურ არმიებს და ლამის „რევოლუციის აკვანი“ მოწინააღმდეგეს დაუთმეს. სწორედ

ამის შემდეგ დაიწყო რუსმა ბოლშევიკებმა რეგულარული საჯარო ნაწილების ფორმირება, ახალი ტიპის არმიის მშენებლობა, რაც მოკლე ხანში წარმატებით დაგვირგვინდა და ეს უზარმაზარი სამხედრო ძალა ასევე წარმატებით გამოიყენეს მეზობელ ქვეყნებში კომუნისტური რევოლუციის ცეცხლის გასავრცელებლად.

1921 წლის თებერვალში, წითელი არმიის საქართველოში შემოჭრის დროს, ქაქუცა ჩოლოყაშვილი ცნობილ კავალერისტან - გენერალ დავით ჭავჭავაძესთან ერთად ცხენოსანი ნაწილის ჩამოსაყალიბებლად სამეგრელოში იმყოფებოდა, ქართველი პატრიოტები ყველა ღონეს ხმარობდნენ მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.

ქართველების წინააღმდეგობის მიუხედავად, 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის XI არმიის სამხედრო ფორმირებები მაინც შემოვიდნენ თბილისში. გახარებული ს. ორჯონიკიძე ბაქოდან ვ.ი.ლენინსა და ი. ბ. სტალინს სწერდა: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა - გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“


ბოლშევიკური რუსეთის აგრესიამ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი გულისტკივილი გამოიწვია. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო ლიდერი სპირიდონ კედია ჩინებულად გადმოსცემს ოკუპაციის პირველ დღეებში რიგითი ქართველის სულისკვეთებას: „სიცოცხლის ძარღვი გადაუჭრეს მთელ საქართველოს. გულები შედგნენ. სამარის სიჩუმე დამყარდა. ქართველები ლანდებად გადაიქცნენ. ხანდახან გაისმოდა თითქოს საიქიოდან მოსული და შორს მგზავრობით გადაღლილი ხმა მათი“ ქართველი ხალხი არ შერიგებია რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორედ ანექსიას და მისი ღირსეული შვილები ამზადებდნენ ნიდაგს საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. ეროვნულ-დემოკრატიების ინიციატივით ბათუმში შედგა თათბირი, სადაც შეიქმნა საიდუმლო სამხედრო ცენტრი. სპირიდონ კედიასთან ერთად თათბირს ესწრებოდნენ ილარიონ ლორთქიფანიძე და დავით მიქელაძე. თათბირზე შეიმუშავეს სამხედრო გეგმა, რომლის ამოქმედების პირველ ეტაპზე წინააღმდეგობის მონაწილეებმა ყურადღება შეაჩერეს ქაქუცა ჩოლოყაშვილზეც. მიუთითებდნენ, რომ „ქაქუცას მოქმედებას ორმხრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ვიდრე სახალხო აჯანყების სამზადისი დამთავრდებოდა. ეს რაზმი მცირერიცხოვანი უნდა დარჩენილიყო. მის არსებობას

უნდა გაემაგრებინა ხალხში იმედი და ამავე დროს მოძალადე ხელისუფლებასაც უნდა შეეკვეცოდა კადნიერება, რომ თავი დაუსჯელი არ ეცნო“.

მკვლევარ გ. ციციშვილის აზრით, „ამ არჩევანს თავისი ლოგიკური გამართლება ჰქონდა. ასეთი რაზმის ბუდე სწორედ კახეთი უნდა ყოფილიყო. ლოგიკურ საფუძვლად იგულისხმებოდა კახეთის გეოპოლიტიკური მდებარეობა, სიახლოვე თბილისთან, პატრიოტულად განწყობილ თუშ-ფშავ-ხევსურებთან და ჩრდილოეთ კავკასიის დაუმორჩილებელ ხალხებთან, რომლებიც ბუნებრივ მოკავშირეებად იგულისხმებოდნენ. კახელებს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მდიდარი ტრადიცია ჰქონდათ, ჰყავდათ საუკეთესო პატრიოტული კადრები და თვალსაჩინო მხედართუფროსები და, მაშასადამე, რაზმის უფროსიც კახელი უნდა ყოფილიყო. ამ მიზნით ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი ყველაზე მისაღები კანდიდატურა აღმოჩნდა“.

სპირიდონ კედიანზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა ქაქუცას ვაჟკაცურმა შემართებამ. იგი მას მიაჩნდა - „ძალიან სანდო, გამოსადეგ და კარგ ქართველად“. 1921 წლის ზაფხულში კახეთის სოფელ კისისხევში დასვენების დროს სპირიდონს რამდენიმე საინტერესო შეხვედრა ჰქონდა ქაქუცასთან და პარტიზანული მოძრაობის სხვა გამორჩენილ წევრებთან.

1921 წლის ზამთარში ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა დაიწყეს ინტენსიური კონსულტაციები ანტიკომუნისტური პარტიების წარმომადგენლებთან საერთო ფრონტის შესაქმნელად. სპირიდონ კედიას ოჯახში იკრიბებოდნენ სოციალისტ-ფედერალისტები - თ. ლასხიშვილი და გრ. რცხილაძე, ესერი ლ. ნინიძე, ეროვნულ-დემოკრატები - ი. ჯავახიშვილი, სოციალ-დემოკრატები ნ. ქარცივაძე და ს. ჯიბლაძე და სხვები. ამ კონსულტაციების საფუძველზე 1922 წლის აგვისტოში შეიქმნა „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ პარიტეტულ საწყისებზე.




საქართველოს დემოკრატიული პარტიების პოლიტიკური აქტივობის ინტენსიფიკაციას ინვევდა ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარება, რაც კომუნისტური მმართველობის პირველივე თვეებიდანვე უფრო გაუსაძლისი გახდა. მაგრამ საქართველოს კომპარტიის მაშინდელ ხელმძღვანელებს ამის აღიარება არ სურდათ. პირიქით, ყველა საჯარო შეკრებაზე ისინი ხაზგასმით მიუთითებდნენ საბჭოთა საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და საეროვნებათაშორისო ურთიერთობის მოგვარების წარმატებულ პროცესებზე. სერგო ორჯონიკიძე აღნიშნავდა: „არასოდეს, ამხანაგებო, ასე ფართოდ და ასე ღრმად არ სწარმოებდა მუშაობა საქართველოს მშრომელთა სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ასაღორძინებლად, როგორც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის უკანასკნელ წლებში. მენშევიკები, რომლებიც ჩასჩიჩინებენ საქართველოს მშრომელებს, რომ ბოლშევიკები ანგრევენ საქართველოს, სობენ მის კულტურას, უკანასკნელი სამ ნახევარი წლის განმავლობაში უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ საქმეზე სულ სხვა ხდება“.

ფ. მახარაძე პარტიის ერთ-ერთ ყრილობაზე საზეიმოდ აცხადებდა: „ამხანაგებო, ჩვენ გადაწყვიტეთ ნაციონალური საკითხი... ეს გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ“. ბ. მდივანი კი მიუთითებდა: „ჩვენ, რუსი კომუნისტები, ყოველთვის ვამაყობდით ეროვნული საკითხის ჩვენებური გადაწყვეტით“.

როგორი იყო საქართველოს სოციალურ - პოლიტიკური ვითარება გასაბჭოების შემდგომ პირველ ხანებში? ამის შესახებ საქართველოს საგანგებო კომისია („საქჩეკა“) სისტემატურად ატყობინებდა საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას და ისინიც, რა თქმა უნდა, საქმის კურსში იყვნენ ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ. მდგომარეობა კი როგორც თბილისში, ისე პერიფერიებში „ჩეკას“ აგენტების ინფორმაციით მძიმე ჩანდა: „ტყიბულში არ აუღიათ სამი თვის ხელფასი, ფოთში შიმშილობენ, თბილისის არსენალის მუშათა შორის მღელვარებაა“. იმავე აგენტურული ცნობებით 1921 წლის ზაფხულში საბჭოთა რეჟიმისადმი საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება „გულგრილი და განუსაზღვრელია. მსხვილი ბურჟუაზია მენშევიკურად განწყობილ ინტელიგენციასთან ერთად კონტრრევოლუციურად არის გამსჭვალული“. კომუნისტი

ლიდერების განსაკუთრებულ შემფოთებას ინვევდა მუშათა უკმაყოფილების პერმანენტული ზრდა, რისი შეჩერებაც ვერ ხერხდებოდა. აგენტები იტყობინებოდნენ, რომ „მუშათა განწყობილებაზე განსაკუთრებით მძიმედ მოქმედებს მკვეთრად თვალში საცემი შედეგები ახალი ეკონომიკური პოლიტიკისა და მუშების ნაწილი ხანგძლივად არ იღებს ხელფასს და ულუფას, მაშინ როცა ადგილობრივი ბურჟუაზია კაფე-რესტორნებში ფანტავს უზარმაზარ თანხებს“.



საუკეთესო წარმომადგენლები: კ. გამსახურდია, ვ. კოტეტიშვილი, შ. ნუცუბიძე, თ. ლლონტი, დ. თოფურიძე და სხვები. ისინი ლეგალურ პრესაში დაუფარავად ამხელდნენ კომუნისტური რეჟიმის ანტიეროვნულ პოლიტიკას. მათ მიმართ საქართველოს საგანგებო კომისია განსაკუთრებულ „მზრუნველობას“ იჩინდა, სისტემატურად ადევნებდა თვალს, აგროვებდა ინფორმაციას. ქართველი ინტელიგენციის გუნება-განწყობილების შესახებ ქართველი კომუნისტების ლიდერები კარგად იყვნენ ინფორმირებულნი. აგენტები ატყობინებდნენ: „ოპერა მთლიანად განწყობილია რეაქციულად, არავითარ ინტერესს არ ავლენს ახალი სახელმწიფო წყობილების მიმართ... ავრცელებენ ბოროტ ჭორებს საბჭოთა ხელისუფლებაზე. არ აკმაყოფილებთ ულუფა, ხელფასი... თეატრის დირექტორს უთქვამს: „...ბოლშევიკები თავზეხელაღებულია ბრბოა, რომლებშიც არ არის წესრიგი.ესენი არიან გაცოფებული ადამიანები. დაე, თვითონ შექმნან კულტურული მუშაობა. ხოლო ჩვენ მათ დახმარებას არ გავუწევთ“... მიმართავენ საბოტაჟს და კონტრრევოლუციურად არიან განწყობილნი“.

ქვეყანაში მდგომარეობა რომ შემაშფოთებელი იყო, ამას კარგად გრძნობდნენ რიგითი ქართველი კომუნისტებიც. 1921 წ. 5 ივნისს თბილისის პირველ პარტიულ კონფერენციაზე დელეგატები აღნიშნავდნენ : „მენშევიკებს ეკუთვნით ყველა თანამდებობა, ხელმძღვანელობენ გემის მთელ მექანიზმს. მარტო საჭით ნინ ვერ წავალთ.“ უკვე არავისთვის დასამალი არ იყო, რომ „სახელმწიფო ორგანოები და მნიშვნელოვანი სტრუქტურები მენშევიკების ხელში იყო“. კომუნისტები მოითხოვდნენ ქვეყანაში ვითარების დაუყოვნებლივ შეცვლას.

ამრიგად, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის პირველ წლებში ახალი ხელისუფლება ვერ ფლობდა სიტუაციას საკუთარ ქვეყანაში. პატრიოტულად განწყობილი ეროვნული ძალები კი ემზადებოდნენ დაკარგული სუვერენიტეტის აღსადგენად. მათ შორის შეტაკება გარდაუვალი ჩანდა.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის დროშა პირველად სვანეთში აფრიალდა. 1921 წ. მაისში მოსესტორ დადეშქელიანის, ნესტორ გარდაფხაძისა და ბიძინა პირველის მეთაურობით დაიწყო მძლავრი აჯანყება, რომელიც მალე მოედო რაჭა-ლეჩხუმსაც. მოსალოდნელი იყო საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში ერთიანი ანტიკომუნისტური ფრონტის შექმნა. სვანეთის აჯანყების შესახებ „ჩეკა“ იტყობინებოდა: „მიმდინარეობს აშკარა ანტისაბჭოთა აჯანყება. აჯანყებულთა რიცხვი 1600 კაცამდე აღწევს. უშუალო ხელმძღვანელობას უწევს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია... მოსახლეობა შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს საბჭოთა ხელისუფლების მიერ აჯანყების სალიკვიდაციოდ გაგზავნილ ძალებს. აჯანყებას მიემხრო სვანეთის მაზრის პირველი უბნის რეკომის ყოფილი თავმჯდომარე სამსონ ქალდანი. აღინიშნება მაზრის მილიციის დიდი ნაწილის გადასვლა აჯანყებულთა მხარეზე... შეიარაღებულნი არიან რუსული, გერმანული და თურქული მაუზერებით... საბრძოლო მასალებისა და ვაზნების რაოდენობა უცნობია. მათ განკარგულებაშია ორი გამართული ზარბაზანი“ (თ. ენდელაძე). ექვსი თვის ხელჩართული ბრძოლების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ სვანების ეს გამოსვლა სისხლში ჩაახშო.

სვანეთის აჯანყებამ დიდი სტიმული მისცა ანტიკომუნისტურ მოძრაობას კახეთში. უკვე 1921 წლის ივლისში ქაქუცა ჩოლოყაშვილმა შექმნა თანამოაზრეთა მტკიცე რაზმი - „საქართველოს შეფიცულები“, რომლის მიზანი იყო რეგიონში ანტიკომუნისტური ბრძოლის ინტენსიფიკაცია. სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ქართველი ახალგაზრდები ქაქუცა ჩოლოყაშვილის საბრძოლო დროშის ქვეშ ირაზმებოდნენ. ესენი იყვნენ: მიხა ბალაშვილი, ვასო თამარაშვილი, სოსო ლოსაბერიძე, მიშა ნაცვლიშვილი, ქიზიყელი ბიჭი ქარუმა, იაკობ ფანოზაშვილი, იოსებ ციქურიშვილი, მიტრო და თედო შაქარაშვილები, ულუდაანთ დიმიტრი და „კუზიანი“- ანტონა ქურთიშვილი. მოგვიანებით პარტიზანების რაზმს შეუერთდნენ: ალ. სულხანიშვილი, ქაქუცას ძმა - სვიმონ (სიკო) ჩოლოყაშვილი, ელიზბარ ვაჩნაძე, ლელო ჩიქოვანი, ალ. კარგარეთელი, სერგო მაისურაძე და სხვ.

ქართველი პატრიოტების საბრძოლო აღმაფრენა კიდევ უფრო გააძლიერა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსის მიერ



1922 წლის დასაწყისში გენუის საერთაშორისო კონფერენციისადმი გაგზავნილმა მემორანდუმმა. მასში საქართველოს სულიერი მამა მოითხოვდა: საქართველოდან რუსეთის საოკუპაციო ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანას, ქართველი ხალხისათვის დამოუკიდებელი ცხოვრების ისეთი უფლების მინიჭებას, რაც უკეთ გამოხატავდა მის სულისკვეთებას და მისწრაფებებს, ხელს შეუწყობდა ნაციონალური კულტურისა და ტრადიციების განვითარებას.

სამწუხაროდ, უკვე ამ პერიოდში რუსეთის ფაქტორი საერთაშორისო პოლიტიკაში სერიოზულ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა და კათალიკოს-პატრიარქის ამ მემორანდუმმა ქართველ ხალხს რეალური შედეგი ვერ მოუტანა. პირიქით, კომუნისტურმა ხელისუფლებამ გააძლიერა ანტირელიგიური და ანტიეროვნული პროპაგანდა და კათალიკოს-პატრიარქი სასამართლოს გადასცა.

ქართული ტრადიციების, მართლმადიდებლური ეკლესიის ღირსების შემლახავი ხელისუფლების წინააღმდეგ ქ. ჩოლოყაშვილმა და მისმა შეფიცულებმა უკომპრომისო ბრძოლა გააჩაღეს. რამდენადაც „ჩეკამ“ პატრიოტებს მოქმედებისათვის მძიმე პირობები შეუქმნა, 1922 წლის გაზაფხულზე ქაქუცა და მისი შეფიცული ძმები ტყეში გავიდნენ. ქაქუცამ ერთგული პირები გააგზავნა დუშეთისა და გორის მაზრებში ადგილობრივი პარტიზანული ჯგუფების შესაქმნელად. ქაქუცა ჩოლოყაშვილმა კახეთის მოსახლეობაში ასეთი მონოღება გაავრცელა:

**საქმობლოს ერთგულნი!**

საქართველოს მტრების განკითხვის ღრთა მოახლოებული.  
მათ ააძვარეს თავის ძიწინააღმდეგ მთელი ქულტურული  
კაცობრიობა.

ვიყთო მხნე, მტკიცე და გაბეღულნი.

სალამი თქვენ და გამარჯვება საქართველოს.

აბილი 1922 წ. კახეთი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

პარტიზანული მოძრაობა თანდათან იკრებდა ძალებს. მარტო დუშეთის მაზრის მუხრანის რაიონში ათობით პატრიოტი იყო ტყეში გახიზნული. ქაქუცას რაზმი ათ ჯგუფად იყო დაყოფილი და აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში მოქმედებდა (თ. ენდელაძე).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელი მთელ საქართველოს პირზე ეკერა. ბოლშევიკური მთავრობის მონინალმდევე ძალები მთელ თავის იმედებს მასზე ამყარებდნენ, მის ირგვლივ იკრიბებოდნენ, ირაზმებოდნენ. ქაქუცას თავის რაზმში მკაცრი დისციპლინა ჰქონდა დამყარებული. ერთ-ერთი შეფიცული, მიხეილ (ჩაპა) ლომიშვილი ამასთან დაკავშირებით იგონებს: „ღვინოს მეტი ნილი რაზმის ნევრებისა - ვსვამდით, თუ გვექნებოდა, მაგრამ არა იმდენს, რომ დავმთვრალიყავით... ქალებთან სიარული და მათთან სასიყვარულო კავშირების გაბმა აკრძალული იყო... ქალებთან ჩუმადაც რომ გაპარულიყავი და ეს რაზმში გაეგოთ, უკან აღარ მიგიშვებდნენ...“

ქაქუცა პარტიზანებს ძალიან უყვარდათ, პატივისცემით „ბელადს“ ეძახდნენ და მისთვის სიცოცხლესაც არ იშურებდნენ. ბელადი თავისი პიროვნული თვისებებით აღაფრთოვანებდა მებრძოლებს: თანატოლებისათვის - მეგობარი იყო, ახალგაზრდებისათვის კი - მზრუნველი მამა. მოგვიანებით მისი შეფიცულები იგონებდნენ: „ქაქუცას რაზმში თვალს რომ შეავლე-ბდი, მაშინვე უნდა მიმხვდარიყავი, რომ ის უფროსი იყო, ისეთი საუბარი და ქცევა ჰქონდა. სულ იმას გვეუბნებოდა, მთავარია ერთმანეთს არ ვულალატოთ და ყოველთვის ყველანაირ მტერს დავამარცხებთ“.

პარტიზანული ცხოვრება, მუდმივად ტყეში ყოფნა მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული. მათ გამუდმებით ეძებდა კომუნისტური ხელისუფლების საიდუმლო სამსახური და მილიცია, უვრცელებდნენ ჭორებს, დევნიდნენ იმ ხალხსაც კი, ვინც შეფიცუ-ლებს თანაუგრძნობდა, მათ სურსათით და იარაღით ამარაგებდა. დარსა თუ ავდარში უკიდევანო კახეთის ტყეები მათი მთავარი თავშესაფარი გახდა. ერთ-ერთი შეფიცული ალ. ბადურაშვილი იგონებდა: „ჩვენ რაზმს, უმეტესად ზამთარში, ხანგძლივად ერთ ადგილზე ყოფნა უხდებოდა... ბანაკი შედარებით კარგად იყო მოწყობილი. გვექონდა მინაში ჩათხრილი ქოხები და ამათში ერთი სპეციალურად ქაქუცასათვის და მისი თანაშემწისათვის... ზამთარში

ასეთ ბანაკებში ბევრად უფრო მომარაგებული ვიყავით, ვიდრე ხშირად ადგილის გადანაცვლების დროს“.

შეფიცულთა რაზმის ერთ-ერთი წევრი მიხეილ ლომიშვილი კვიციანი გვიამბობს: „რა თქმა უნდა, რაზმს მრავალმხრივ უჭირდა; მაგრამ არავინ არაფრად დაგიდევდა... ნაბდები გვექონდა, ეს იყო ჩვენი ლეიბიც და საბანიც. ვიცვამდით შინელებს, ჩოხა-ახალუხს. თავზე ზოგს „გალიბანდის“ ქუდი გვეხურა, ზოგს ცხვრის ტყავის მატყლიანი ტყაპუჭურები, ზოგს კახური ნაბდურები. შეიარაღებული ვიყავით კარაბინებით, მაუზერებით, გრანატებით. ორი ტყვიამფრქვევი გვექონდა... რუსულ „მაქსიმებს“ რომ ეძახიან... სად აღარ მოგვინია ყოფნამ. ხან არაგვის ხეობაზე გვინევდა მოულოდნელი გადასვლა, ხან - კახეთში, ხან ივრის ხეობაში, ხანაც ქართლში. რა ჭირსა და ვაი-ვაგლახს აღარ გადავყრილვართ“.

სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა ყოველი გამოჩენა ხალხში არნახულ სიხარულსა და აღტაცებას იწვევდა. დიდხანს დარჩა მესხიერებაში 1922 წლის ალავერდობის საზეიმო დღე. ტაძრის ეზოში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. „ყველასათვის მოულოდნელად იქ გამოჩნდა ქაქუცა თავის მეგობრებთან ერთად. ზეიმზე მოსულ ხალხს ეგონა ქაქუცა საქართველოს მთავრობისაგან არის წარმოგზავნილი, რომ საქართველოს განთავისუფლების ამბავი გვახაროსო. დაუფიქრებია ის დიადი წუთები, როცა ქაქუცა თავისი რაზმით გალავანში შემოვიდა. უცებ მთელი ხალხი მუხლებზე დაეცა და ყველამ ერთხმად დაიძახა: „საქართველოს გაუმარჯოს!“ - იგონებდა მოგვიანებით ამ ამბავს საზღვარგარეთ გადახვენილი თამარ პაპავა.

შეფიცულებს მოკავშირეები და თანამოაზრენი თითქმის ყველა სოფელში ჰყავდათ. მიუხედავად მთავრობის მხრიდან მკაცრი რეპრესიებისა და ოჯახების ანიოკებისა, რიგითი ადამიანები მაინც ეხმარებოდნენ სამშობლოსათვის მებრძოლ ვაჟკაცებს. ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნათესავი ქალი ნინო ავალიშვილი იგონებს მათთან სახლში ქაქუცასა და მისი მეგობრების ერთ-ერთ სტუმრობას. როგორც გადმოგვცემენ, 1922 წლის ერთ მშვენიერ დღეს ავალიშვილების ეზოს ჭიშკარში ქაქუცა ჩოლოყაშვილმა და მისმა თანამებრძოლებმა ცხენები შეაჭენეს. ავალო ავალიშვილი (ნინოს მამა) სიხარულით წამოიჭრა, თოფის მაგივრად მოზრდილი ჯოხი გაიდო მხარზე, რადგან იარაღი მისთვის „ჩეკას“ წაერთმია და ძვირფას სტუმრებს ისე შეეგება. სტუმრებს ღიმილით დახვდა

ნინოს ძმაც - დათოც. იმავდროულად იქ მყოფი მეზვრე ვენახში გაიქცა, რომ სეტყვის სანინალმდეგო ზარბაზნით სროლა დაენყო. დიდ და ლამაზ ეზოში გაიმართა ეროვნული აღლუმი. ამის შესახებ ნინო ავალიშვილი აღფთოვანებული იგონებს: „შესანიშნავი იყო ეს ყველაფერი: წინ - ოფიცრები სამხედრო ფორმაში, უკან - ვინც ფორმაში არ იყო. მამაჩემი, ხელში ჯოხით, აღლუმს ლებულობდა. უკანა ეზოში კი საჩქაროდ იკვლებოდა ქათმები, ინდაურები და ცხვარი. ჩვენმა პურის მცხობელმაც თადარიგი დაიჭირა. ჯარისკაცებს სუფრა გაუშალეს აივანზე, ცხენები მიუშვეს თავის ნებაზე და დიდ სასტუმრო ოთახში სუფრის თამადად აკურთხეს საყვარელი სიძე ქაქუცა ჩოლოყაშვილი“.

ძვირად დაუჯდა ავალიშვილების ოჯახს საყვარელი სიძის სტუმრობა. მალე დამსჯელი რაზმი მოადგა მათ კარს - ვინმე ძულიაშვილის მეთაურობით. „შეცვივდნენ სახლში, გადააბრუნეს იქაურობა. ლოგინი და მუთაქები სულ დაჭრეს. თაროებიდან გადმოყარეს შესანიშნავი წიგნები, წაუკიდეს ცეცხლი და დანვეს. ჩხრეკის დროს სხვენში იპოვეს პაპაჩემის დროინდელი დაჟანგული ხმალი და გატეხილი სანადირო თოფი... ძულიაშვილმა დაინყო ამ ხმლით მამაჩემის ცემა. მერე მამა და დათო ხელშეკრულები მიაბეს ცაცხვზე და დაუნყეს ცემა. დათოს წინა დლით ფუტკარმა უკბინა და გასიებული ჰქონდა ყბა. მიდგა ძულიაშვილის კაცი და თოფის კონდახს სულ ამ გასიებულ ლოყაში ურტყამდა...ძულიაშვილი განაგრძობდა მამაჩემის ცემას. სხვები დარბოდნენ და ყველაფერს ეზოში ყრიდნენ,“ - იგონებს ამ ავადსახსენებელ დროს ნინო ავალიშვილი.

ასეთი სადისტური ქმედებებით კომუნისტური ხელისუფლება თავის წინააღმდეგ არა მარტო თავადაზნაურობას, არამედ უფრო მეტად გლეხობის უდიდეს ნაწილსაც იმხედრებდა. განსაკუთრებით ბოზოქრობდა მთის მოსახლეობა, რომლის თავისუფლებისმოყვარე სული კომუნისტურ რეგლამენტაციას ვერ ეგუებოდა. აჯანყებისათვის აქ ყველა პირობა იყო შექმნილი. ამ პერიოდში ქაქუცას უკვე 500 კაცამდე ჰყავდა. მის რაზმში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები იყვნენ, პარტიზანობდნენ მეფის არმიის ოფიცრებიც, თავადებიც და ლარიბი გლეხებიც. საქართველოს „ჩეკას“ აგენტურული ცნობებით ამ ეტაპზე „რაზმი კარგად იყო შეიარაღებული, ჰქონდათ ტყვიამფრქვევებიც კი. შედარებით ნაკლები იყო ტყვია-ნამალი. პარტიზანებს ყველგან ჰყავდათ მხარდამჭერები, მაგრამ მაინც ყველაზე მეტად მათ ფშავ-

ხევსურები ეხმარებოდნენ. არის ცნობა, რომ ქაქუცამ ჩეჩნეთში შამილის შვილიშვილთან გააგზავნა რამდენიმე კაცი ერთობლივი მოქმედებისათვის. საბჭოთა დაზვერვა ინფორმირებული იყო იმასთან დაკავშირებითაც, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი დაუკავშირდა დალესტნელ გენერალს მადრაგოვს, რომელსაც ქისტებისაგან შემდგარი პარტიზანული რაზმი ჰყავდა და სთხოვა მას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის კოორდინაცია.

„საქჩეკას“ ინფორმაციის სიმართლეს ადასტურებს შეფიცული ძმის, ალექსანდრე ბადურაშვილის შემდეგი მოგონებაც: „ჩვენი რაზმი რომ ხევსურეთში შევიდა... სოფელ ბარისახოში დავბანაკდით. ხევსურები სიხარულით შეგვხვდნენ. მათთან პროპაგანდა საჭირო არ იყო. ამ ხალხს რუსთა სიძულვილი ჩვენზე მეტი ჰქონდა... აქედან ბელადმა ჩაჩანში გაგზავნასულხანიშვილი, თუში შამილა, რომელმაც ჩეჩნური იცოდა. სულხანიშვილს დავალებული ჰქონდა ჩეჩნების დახმარება მიეღო. ცნობილია, რომ ქისტებსა და ხევსურებს შორის მუდმივი მტრობა იყო და მრავალ ხევსურსა თუ ქისტს ერთმანეთის სისხლი მართებდა. ეს მდგომარეობა ხელისშემშლელი იყო ხევსურებისა და ქისტების ერთად ჩვენს მხარეზე გადმოსვლისათვის. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ერთმა ხევსურმა თავკაცმა, რომლის გვარსაც ყველაზე მეტი სისხლი მართებდა ქისტებისა, სულხანიშვილის პირით შეუთვალა: ქისტებო, დღეს ჩვენი საერთო მტერი რუსია, მოგვეშველენით, ერთად გავრეკოთ და მერე თუ კი მოინდომებთ, ჩემი ორი შვილიშვილი, ვაჟები წაიყვანეთ და თავები მოსჭერითო...“

სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა მათგან დახმარების მიღება, რადგან ხევსურეთში მყოფი ქაქუცასა და მისი რაზმის წინააღმდეგ რუსთა ჯარი დაიძრა. ქაქუცამ შესაფერისი ზომები მიიღო და ორწყალის მაღლობები დაიკავა. რუსების პირველი ცდა - ბრძოლით აეღოთ სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილი, სასტიკი მარცხით დამთავრდა. სასონარკვეთილი სიღნაღის პოლიტსამმართველოს უფროსი თავის ხელმძღვანელებს ატყობინებდა: „ბანდიტების შეპყრობის გამიზნული ყველა ოპერაცია მთავრდება უშედეგოდ“ (თ. ენდელაძე).

პარტიზანების წარმატებამ ფრთები შეასხა ხევსურეთის მოსახლეობას. ყოველდღიურად იზრდებოდა აჯანყების მასშტაბები. ამას, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდა საქართველოს საბჭოთა

ხელისუფლება. სერგო ორჯონიკიძემ მოიწვია საგანგებო სამხედრო  
თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ კავკასიის ნითელი არმიის  
სარდალი ეგოროვი, ამავე შტაბის უფროსი პუგაჩოვი და სხვები  
(გ. ციციშვილი). მათ აჯანყებულთა წინააღმდეგ გადამჭრელი  
შეტევისათვის ახალი სამოქმედო გეგმა დასახეს, რაც ხევსურეთის  
სიღრმეში მსხვილი სამხედრო შენაერთის შეჭრას გულისხმობდა.  
ამავე დროს, „საქჩეკას“ დაევალა შეფიცულთა რაზმში, ყველა  
სამუალებით, ეცადა აგენტების შეგზავნა, რაც გაუადვილებდა მას  
პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლას. ქაქუცას უშუალო მეზობლთა  
შორის აგენტის შეგზავნის ცდა წარუმატებლად დამთავრდა, თუმცა  
ერთ-ერთ რაზმში, რომელსაც შალვა ფავლენიშვილი მეთაურობდა,  
მოხერხდა აგენტის დამკვიდრება.

1922 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში ჩოლოყაშვილის რაზმი  
თელავიდან 70-80 კილომეტრზე, დალესტინის მთების მისადგომებ-  
თან იმყოფებოდა. მათ წინააღმდეგ მთავრობამ გააგზავნა 25  
კაციანი „მფრინავი რაზმი“. ქაქუცამ მას თავი აარიდა. სექტემბერში  
კი დუშეთის, თელავისა და სიღნაღის მაზრებში გამოჩნდა. მას მხარს  
უჭერდა მარტყოფის, სართიჭალისა და საგარეჯოს მოსახლეობაც  
(თ. ენდელაძე).

აჯანყების დროს მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა.  
მოხდა ისე, რომ „საქჩეკამ“ ერთ-ერთი შეტაკების დროს მოკლა  
ქაქუცას თანაშემწე შალვა ფავლენიშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა  
საიდუმლო დოკუმენტები, წერილები, პარტიზანთა ოპერატიული  
შტაბის ბრძანება. ამან ხელისუფლებას პარტიზანების წინააღმდეგ  
ბრძოლა გაუადვილა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თავი იჩინა  
პარტიულმა დაპირისპირებამ და უნდობლობამ აჯანყებულთა  
ბელადის - ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიმართ. ეს განსაკუთრებით  
ეხებათ „პარიტეტული კომიტეტის“ სოციალ-დემოკრატიული  
ფრაქციის წარმომადგენლებს, რაც აშკარად გამოჩნდა ქართლის  
პარტიზანთა დაჯგუფების მხრიდან ქაქუცას რაზმისადმი შესაძლო  
დახმარების განწევის დროს. ქაქუცას გეგმით, ხევსურეთში აჯანყების  
დანყების შემდეგ, ქართლის პარტიზანებს მ. ლაშქარაშვილის  
ხელმძღვანელობით ზურგიდან უნდა დაერთყათ ხევსურეთში  
მოქმედი რუსეთის სამხედრო შენაერთისათვის - ასეთ შემთხვევაში  
რუსები ორ ცეცხლს შორის აღმოჩნდებოდნენ. მაგრამ როცა მ.  
ლაშქარაშვილმა თავისი რაზმი ხევსურეთში სალაშქროდ გაამზადა,  
თბილისიდან მასთან ჩასულმა ორმა მენშევიკმა პროპაგანდისტმა,  
რომლებიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდნენ,

ქაქუცა ჩოლოყაშვილის საწინააღმდეგო პროპაგანდა გააჩაღა, ისინი უმტკიცებდნენ მ. ლაშქარაშვილს, რომ „ქაქუცას დახმარება თქვენ არ გარგებთ, ის თავადია და თავადობის მომხრეა“. დახმარების გარეშე დარჩენილ ქაქუცა ჩოლოყაშვილს ბრძოლაზე იხელი მიანიც არ აუღია.

ორწყალზე დამარცხებულმა სამთავრობო ჯარმა პირდაპირ შეტევაზე ხელი აიღო და შემოვლითი შორი გზით სცადა ხევსურეთში შესვლა. მათ დაიკავეს სოფელი აკუმო და იქიდან დაიწყეს ორწყალის მიდამოების დაბომბვა..

1922 წლის 10 სექტემბერს საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელობამ გამოსცა საიდუმლო განკარგულება, რომლის ძალითაც იმ დღეს, საღამოს უნდა დაემთავრებინათ საერთო მობილიზაცია და საბრძოლო განლაგება. ამ გეგმით 15 სექტემბრამდე ვარაუდობდნენ გუდანისა და ბარისახოს ალებას. ქართველ მსროლელთა დივიზიის მეთაურს ს. ლექეთიძეს უბრძანეს დუშეთისა და თიანეთის მაზრებში დისლოცირებული ნაწილების გაერთიანება. თბილისიდან გააგზავნეს ქართული პოლკის ბატალიონი, კავკასიის მე-19 მსროლელი პოლკის ასეული, არმიის სასწავლო საკადრო პოლკის ასეული, ცალკე კავალერიის ბრიგადის რჩეული ესკადრონი და 37-ე ავტოჯავშნოსანი შენაერთი. შეტევა ავიაციითაც გააძლიერეს. მას უნდა დაეზვერა საქართველოს სამხედრო გზის მონაკვეთი და საჭიროების შემთხვევაში დაებომბა აჯანყებულთა პოზიციები (თ. ენდელაძე).

საბჭოთა ჯარებმა, ძალების ასეთი მობილიზაციის შემდეგ, ბარისახოც აიღეს. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ფშავში გადავიდა. ცენტრალურმა სარდლობამ თიანეთის მაზრის პარტიული და სამხედრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაავალა ყველა გზისა და საცალფეხო ბიჭიკის ბლოკირება, უკან დახეული აჯანყებულების შეპყრობა და ლიკვიდაცია.

მაგრამ ქაქუცამ, თანხმლებ პირებთან ერთად, მოახერხა ჩეჩნეთში გადასვლა. თიანეთის აღმასკომის თავმჯდომარემ სერგო სურგულაძემ ვერ შეძლო სარდლობის საგანგებო ბრძანების შესრულება და ქაქუცას რაზმის ბლოკირება. შეშინებულმა აღმასკომის თავმჯდომარემ ყოველივე ფშავის მილიციის უფროსს, ვაჟა ფშაველას ვაჟს, ლევან რაზიკაშვილს დააბრალა. დაკითხვის ოქმში ვკითხულობთ: „გზის გადაკეტვისთვის თორმეტი ამხანაგის

თანხლებით გავემგზავრე ორწყლისაკენ. ს. არტანთან არმისული, ჩემს მიერ ორი მილიციელი იქნა გაგზავნილი რაზიკაშვილთან. თავისი მილიციელებით შუაფხოში უნდა შემხვედროდა. მას წინადადება მივეცი არ წამოსულიყო მდინარე არაგვით, რადგან ბანდიტები არაგვის ხეობით იხევდნენ და შეიძლებოდა შეყროდნენ. მან ყურადღება არ მიაქცია ჩემს წინადადებას, არაგვით წამოვიდა და სოფ. ხომისძირში ბანდიტებს გადაეყარა. ჩემს მიერ გაგზავნილი მილიციონერებიდან ერთი მოკლული, ხოლო მეორე განიარაღებულ იქნა. თვითონ კი ყველა მილიციელითურთ ტყვედ დანებდა... შემდეგ ცნობებით გაირკვა, რომ რაზიკაშვილმა ერთი მილიციონერით, რომლის გვარი უცნობია და კიდევ ერთით ჩარგალიდან ქ. ჩოლოყაშვილი გააცილა ხევსურეთიდან ჩარგალზე გავლით არტანის თემზე და იქიდან პანკისის ხევში, სადაც იგი (ჩოლოყაშვილი) გაქრა“ (გ. ციციშვილი).

როგორც ირკვევა, ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და ვაჟა-ფშაველას ვაჟს - ლევან რაზიკაშვილს მეგობრული ურთიერთობა, მართლაც, ჰქონიათ და ლევანმა მას ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინა. ამ ამბის შემდეგ ქაქუცას ლევანი ორი დღე თავის ბანაკში ჰყავდა. გამომშვიდობების დროს ქაქუცას მისთვის ფშავის მოსახლეობის აჯანყება დაუვალებია.

განრისხებულმა „ჩეკისტებმა“ ლევან რაზიკაშვილს აჯანყებულეთა თანაგრძნობა და დახმარება არ აპატიეს და 1922 წლის დეკემბერში დახვრიტეს. „ჩეკისტებმა“, აგრეთვე, დახვრიტეს ხევსურეთის აჯანყების გამო დაპატიმრებული არჩილ და ზაქარია ვაჩნაძეები, კონსტანტინე ჩოლოყაშვილი, გიორგი ნიკლაური, მიხეილ ბალიაშვილი, ალ. გომელაური. წითელი არმიის ნაწილებმა მთლიანად გაანადგურეს ხევსურეთის რამდენიმე სოფელი, მკაცრად ვაუსწორდნენ მოსახლეობას და სასტიკი რეპრესიების ცეცხლი გააჩაღეს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. სამწუხაროდ, ამჯერადაც ვერ მოხერხდა აჯანყების ერთიანი ფრონტის ორგანიზება და 1922 წელ ხევსურეთში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლა მარცხით დამთავრდა.



1922 წლის ღვინობისთვის ჩრდილოეთ კავკასიიდან ქაქუცა ჩოლოყაშვილი კახეთის მთიანეთში დაბრუნდა. დამარცხების ტკივილს არ გაუნელებია პარტიზანული ბრძოლის უნიკალური კარგად ესმოდა, რომ საჭირო იყო უფრო მეტი სიფრთხილე და სისტემატური მზადება გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

კომუნისტურმა ხელისუფლებამაც კარგად იცოდა, რომ ხევსურეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ პარტიზანები ბრძოლას არ შეწყვეტდნენ, სანამ ქაქუცა ჩოლოყაშვილი მედგრად იდგა საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ავანგარდში. ამიტომ მათ მიზნად დაისახეს მისი დისკრედიტაცია, ქაქუცას შესახებ ჭორებისა და უსაფუძვლო ხმების გავრცელება. „საქჩეკას“ ხელმძღვანელობას დაგეგმილი ჰქონდა ჩოლოყაშვილის რაზმში 15 ინფორმატორის შეგზავნა. თითოეულმა მათგანს 50 მანეთს პირდებოდნენ (თ. ენდელაძე). ამასთან ერთად ავრცელებდნენ ხმებს, რომ ქაქუცას რაზმი საქართველოში თავადაზნაურული პრივილეგიების აღსადგენად იბრძოდა. ამის საპასუხოდ ქაქუცა ჩოლოყაშვილმა მონოდებით მიმართა ქართველ ხალხს: „მინები მემამულეებს ჯერ კიდევ მენშევიკურმა მთავრობამ ჩამოართვა, მაგრამ ამის გამო იარაღი ხელში არავის აუღია. ჩვენ მზად ვართ გადავცეთ ქართველ ერს ის მცირეც, რაც დაგვრჩა, უკეთუ ამას ქვეყნის საჭიროება მოითხოვს... ჩვენი ეხლანდელი ბრძოლა ისახავს მიზნად არა მინების დაბრუნებას, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის დაბრუნებას და ...ბრძოლა გაგრძელდება, სანამ ეს მიზანი არ იქნება მიღწეული“ (ა. ასათიანი).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სიმტკიცესა და შეუპოვარ ხასიათს წონასწორობიდან გამოჰყავდა მტარვალები. რამდენადაც მათთვის ქაქუცა ხელმიუწვდომელი იყო, რეპრესიების სუსხი მისი ოჯახის წევრებს დაატეხეს თავზე. ამით ცდილობდნენ მასზე ზემოქმედებას. „ჩეკისტებმა“ დააპატიმრეს ქაქუცას მამა - იოსებ ჩოლოყაშვილი და მალე დახვრიტეს კიდევ. ლაგოდების ტყეში ერთ-ერთი შეტაკების დროს მოკლეს მისი ძმა სიკო, უფროსი ძმა შაქრო მძევლად ჰყავდათ აყვანილი. არ დაინდეს და დააპატიმრეს მისი მეუღლე ნინო ორ მცირეწლოვან შვილთან და მშობლებთან ერთად. მიხეილ ღვინიაშვილი ასე აღწერს ქაქუცას სვეგამწარებული დედის, დარო გოგნიაშვილის დრამატულ ხვედრს: „გატანჯული, გაძალღუმაღურებული სიცოცხლე განსაკუთრებით გაუსაძლისი

ხდება დედისათვის, მაგრამ თავის ზემოთ გზა არ არის და დაროც უძლებს, არ ეპუება სინამდვილის სიმკაცრეს, საშინელება, სისაძაგლეს და საზიზღრობას... საგლოვარგახშირებული ქვრივი ახალ-ახალი უბედურების სამიზნედ არის გადაქცეული ქაქუცას სიცოცხლეს ხომ ყოველნამს ბენვზე ჰკიდია! საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ მაინც კიდევ როგორღაც უმკლავდება დარო ბედის სიმუხთლეს და რაღაც სასწაულებრივი ენერჯის ფასად განაგრძობს არსებობას“.

გამძვინვარებული „ჩეკისტები“ მკაცრად უსწორდებოდნენ არამარტო ქაქუცაჩოლოყაშვილის ოჯახის წევრებსა და ნათესავებს, არამედ ყველას, ვინც კი ოდნავ მაინც იყო დაკავშირებული შეფიცულთა რაზმთან.

კომუნისტების „წითელ ტერორს“ და არნახულ რეპრესიებს პარტიზანებმა, თავის მხრივ, შურისძიებით უპასუხეს. ისინი ანგარიშს უსწორებდნენ იმ სისხლისმღვრელ მტარვალ ბოლშევიკებს, რომლებიც გამუდმებით ატერორებდნენ სოფლის მოსახლეობას. გლეხობას განსაკუთრებით ავიწროებდნენ „ჩეკას“ ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი კირაკოზოვი, პარტკომის მდივანი დაგონდარიძე და მილიციის უფროსი მეგუთნიშვილი. ალ. ბადურაშვილი იგონებს: „ერთ დღეს შეგვატყობინეს, რომ ამა და ამ რიცხვში წინანდალში უნდა დაიდგას წარმოდგენა, რომელზეც ზემონახსენები მავნე კომუნისტებიც დაესწრებიანო... როგორც ჩვეულება იყო, წარმოდგენის შემდეგ, თეატრისავე დარბაზში, სუფრა უნდა გაშლილიყო. გადანყდა, ამ შემთხვევით გვესარგებლა... დანიშნული დღისათვის ქაქუცამ გამოჰყო ათიოდე კაცი ელიზბარ ვაჩნაძის მეთაურობით. თეატრის შენობა ეკლესიის ეზოში იდგა. უკან იყო ვენახი, რომელშიც ჩვენ უნდა დაგვეცადა კაცისთვის, ვინც ამ კომუნისტების მოსვლას და იქ ყოფნას შეგვატყობინებდა. ბევრი ცდა არ დაგვჭირდა. კაცი მოვიდა და გვაცნობა, ყველანი მოვიდნენო. მე და შალიკო კანდელაკს დაგვევალა დარბაზის ორი კარის შეკვრა, რომ არავინ გაქცეულიყო. ჯგუფის დანარჩენი შემადგენლობა დარბაზში შეიჭრა... შემინებულმა კომუნისტებმა რევოლვერები მაგიდის ქვეშ შეყარეს. ხელები მაღლა ასწიეს. ლელო ჩიქოვანს წასაყვანი ხალხის სია ჰქონდა და დაინყო: - რომელია კირაკოზოვი? მე კარში მდგომმა გავიგონე პასუხი: - აქ არ არისო. შიგ შევიხედე და დავინახე, რომ მოპასუხე თვით კირაკოზოვი იყო და ლელოს დავუძახე: - ეგ თვითონ არის კირაკოზოვი-მეთქი... ლელომ კირაკოზოვს რევოლვერის კონდახი ჩაარტყა თავში და დანარჩენებს

დაუნყო გამოძახება. ყველანი თავის ნებით ავიდნენ. სცენაზე დაუნყეს მათ ხელების შეკვრა. შემდეგ გარეთ გამოვიყვანეთ და ტყისკენ გავნიეთ, რომ ოთხივე ქაქუცასთან მიგვეყვანა... ქაქუცამ საველე სასამართლო გამართა და დაჭერილებს ბრალდება წარუდგინა მათი ნამოქმედარი, რისთვისაც სიკვდილი მიესაჯათ ოთხივე დაიხვრიტა“.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი, მართლაც, დაუნდობელი იყო საბჭოთა რუსეთის ერთგული, ქვეყნის მოღალატე ქართველების მიმართ. მაგრამ მას ქრისტიანული გულმონყალებაც უხვად ჰქონდა მომადლებული. განსაკუთრებით ებრალებოდა კომუნისტური პროპაგანდით გზასაცდენილი ახალგაზრდები, რომლებიც ნებით თუ უნებლიეთ მტრის სამსახურში ჩამდგარიყვნენ. მწერალი სულხან ქეთელაური ერთ საინტერესო ამბავს გადმოგვცემს: „ტყეში გასულ მიხა ხელაშვილს ფშავის ერთ სოფელში ჩაუვლია და ყური მოუკრავს იქ თავშეყრილ კომკავშირელთა ლაპარაკისათვის, რომლებიც ჩოლოყაშვილის მოკვლას აპირებდნენ. ხელაშვილს განუიარაღებია ეს კომკავშირლები, ქაქუცასათვის მიუგვრია ბანაკში და უთქვამს, დასაჯე როგორც გსურსო. შეფიცულთა რაზმის ღვთისნიერ წინამძღოლს კი დასჯის ნაცვლად მამაშვილურად დაუმოდვრავს ეს ღვთისგარეგანი არამზადები და გაუთავისუფლებია“.

ერთხელ ქაქუცა, რამდენიმე ხევსურთან ერთად, ვითარების გასარკვევად სოფელ მალაროსკარში მალულად ჩავიდა. მილიციამ შეამჩნია და უკან წითელარმიელების დიდი გუნდი დაადევნა. გაიმართა ორმხრივი სროლა, რომლის დროს ქაქუცა იძულებული გახდა სამალავიდან წელამდე ამონეულიყო, რომ მიზანში უკეთ მოერტყა. ერთ-ერთმა მისმა თანხლებმა ხევსურმა, რომელიც ნაკლები პატრიოტობით გამოირჩეოდა, სცადა წინ აფარებოდა, მაგრამ ქაქუცამ ასეთი მოქმედება არ დაანება. როცა მოგვიანებით მებრძოლმა კითხა მისი ასეთი ქცევის მიზეზი, ქაქუცას უთქვამს: "არა, ჩემო დათვიავ, უნდა მომკვდარვიყავ მე და არა შენ, რადგან მე კარგად ვუნყი რისთვის ვწირავ სიცოცხლეს, შენ კი ეს ბოლომდე არა გაქვს შეგნებულო" (ე. გიორგაძე).

პარტიზანების აქტივობის შესასუსტებლად, მათ რიგებში დემორალიზაციის შესატანად, რაზმის მეთაურის სალიკვიდაციოდ „ჩეკამ“ გაააქტიურა თავისი აგენტურა. ტყეში გასულ პარტიზანებს უამრავი რამე სჭირდებოდათ - დაწყებული ტყია-წამლით და ტანსაცმლით დამთავრებული. ქაქუცას თბილისში, ვერეს

დალმართზე სანდო თერძი, ვინმე ფოილაძე ჰყავდა. მაგრამ „ჩეკამ“ მოახერხა მისი გადაბირება. ქაქუცას რაზმელებმა მას ჩოხების შეკერვა სთხოვეს და ზომების ასაღებად ერთ ნეიტრალურ, სანდო ბინაზე შეხვედრაც დაუნიშნეს. შეხვედრის დროს „ჩეკისტებმა“ სახლს ალყა შემოარტყეს, ორმხრივი სროლის დროს დაეჭრა ორი ჩეკისტი, შეფიცულებმა კი თავს უშველეს.

მიუხედავად კომუნისტური ხელისუფლების მხრიდან დაუსრულებელი დევნისა, პარტიზანების ბელადი კავშირს არ წყვეტდა ეროვნული დაუმორჩილებლობის სხვა ცენტრებთან, პირველ რიგში „დამოუკიდებლობის კომიტეტთან“. მართალია, ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერები ქაქუცა ჩოლოყაშვილის გეგმებსა და წინადადებებს ხშირად არ იზიარებდნენ, მაგრამ ის იძულებული იყო დამორჩილებოდა მათ გადანყვეტილებებს, რადგან „ღრმად სწამდა, რომ ერთის გმირობა და მცირე ჯგუფის ვაჟკაცობა არ იყო საკმარისი დიდი ეროვნული ამოცანების მისაღწევად. ამ დიდ საქმეში ის იყო არა მარტო თავგანწირული მებრძოლი, არამედ მეტად ფრთხილი, თავშეკავებული და მოქნილი პოლიტიკოსიც“ (ალ. სულხანიშვილი).

1923 წლის ქრისტეშობისთვის ქაქუცა ჩოლოყაშვილი ორ თანამებრძოლთან ერთად თბილისში ჩამოვიდა „დამკომთან“ აჯანყების საერთო გეგმის შესამუშავებლად. „დამოუკიდებლობის კომიტეტს“ ამ დროისათვის გარკვეული მოსაზრადებელი სამუშაო უკვე ჰქონდა ჩატარებული. აჯანყებისთვის ემზადებოდნენ პარიზის ემიგრაციული წრეებიც. ჯერ კიდევ 1922 წელს პარიზიდან თბილისში არალეგალურად ჩამოვიდა ნ. ხომერიკი, 1923 წელს კი - ვ. ჯუღელი და ბ. ჩხიკვიშვილი. აჯანყების ადგილობრივ მოთავეებს ისინი ამხნევებდნენ იმით, რომ „საერთაშორისო ვითარება ხელსაყრელია და დამარცხების შემთხვევაშიც კი ემიგრაციის პარიზის გაერთიანებულმა ცენტრმა შეიძლება საქმეში ჩართოს ევროპა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად“ (ა. და პ. სურგულაძეები).

მაგრამ საერთაშორისო ვითარებაზე უფრო მეტად, საქართველოში ანტიბოლშევიკური გამოსვლებისათვის საფუძველს ქმნიდა თვით ბოლშევიკური ხელისუფლების ანტიქართული პოლიტიკა, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიმართ ათეისტური აგრესიის გაძლიერება, ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის იგნორირება, გლეხობისათვის მიძიმე სასურსათო

გადასახადის დაწესება და საქართველოს, ფაქტობრივად, რუსეთის კომუნისტური იმპერიის გუბერნიად გადაქცევა. ყველაფერმა ამან ქვეყანაში საოცრად კრიზისული ვითარება შექმნა.

ეს ვითარება ჩინებულად ასახა თავის ნერილებში პოლიტპატიმარმა, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრმა, სოციალ-დემოკრატმა ანდრო ჭიაბრიშვილმა. იაროსლავის საპრობილედანესნერილები მან გაუგზავნა რუსეთის ბოლშევიკური სახელმწიფოს ერთ-ერთ ლიდერს ლევ ტროცკის. ისევე როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილს, ანდრო ჭიაბრიშვილსაც ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია არ წყალობდა და მას საქართველოს მოსახლეობა ფაქტობრივად არც კი იცნობდა. ეს ნერილები ჩინებულ წყაროს წარმოადგენს ქართული ანტიკომუნისტური აზრის ისტორიისათვის, რადგან მათში საქმის ცოდნით არის გაანალიზებული ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. ა. ჭიაბრიშვილი სწერდა თავის ადრესატს: „ჩინებულად იცით, რომ არავითარი ბოლშევიკური აჯანყება საქართველოში 1921 წლის თებერვალში არ ყოფილა, რომ ნეიტრალურ ზონაში შეიჭრნენ რუსეთის ჯარის გადაცმული ნაწილები... ერთი გასროლაც კი არ მომხდარა. ჩვენთან ფიქრობენ, რომ ყველა რუსს ერთი მიზანი აქვს - დაუბრუნონ რუსეთს პავლე და ალექსანდრე რომანოვების შენაძენი - საქართველო ...“

ქართული საზოგადოებრივი აზრი ბოხოქრობდა. აჯანყებისთვის კი ყველა პირობა სახეზე იყო.

\*\*\*

1924 წლის 21 იანვარს, ხანგძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ვ.ი.ლენინი. კრემლის კულუარებში დაიწყო დაუნდობელი ბრძოლა პირველობისათვის. საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა თავიდანვე ჩაება ამ ბრძოლაში და უმრავლესობამ აშკარად დაუჭირა მხარი ლ. ტროცკის - ლენინის შესაძლო მემკვიდრეს. ვ.ი. ლენინის გარდაცვალებამ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ დაბადიმიედი, რომეკონომიკური კრიზისით გადაღლილი, პარტიული ლიდერების პირველობისათვის მძიმე და ხანგძლივ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმული ქვეყანა აშკარად პოლიტიკურ კრახს განიცდიდა და ადვილად გამოსწორდებოდა

ის შეცდომა, რაც ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მოხდა ქვეყანა დაუბრუნდებოდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტრადიციულ, მსოფლიოში აპრობირებულ მაგისტრალურ ხაზს.

თავის მხრივ ბოლშევიკებიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ რომ მათ მიერ მსოფლიოსთვის შეთავაზებული ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანია, ხოლო ქვეყანაში არსებული სიძნელეები დაკავშირებული იყო ერთი საზოგადოებრივ - ეკონომიკური ფორმაციის მეორეთი შეცვლის იმ თავისებურებებთან, რაც კონკრეტულად რუსეთისათვის იყო დამახასიათებელი. ეს კი, მათი აზრით, ადვილად დაიძლეოდა მოსახლეობის ტოტალური მობილიზაციის, კომუნისტური ერთუზიანებისა და „შრომის არმიების“ შექმნით, რაც უზრუნველყოფდა საყოველთაო თანასწორობას, მატერიალურ სიუხვესა და სოციალიზმის რუსული მოდელის გამარჯვებას. ამისათვის კი საჭირო იყო საგარეო პოლიტიკური წარმატებები, რაც უზრუნველყოფდა ეკონომიკური კავშირების განმტკიცებას დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, მნიშვნელოვანი მატერიალური სუბსიდიების მიღებას, რაც აუცილებელი იყო კაცობრიობის ისტორიაში არნახული ექსპერიმენტის რეალიზაციისათვის. საბჭოთა დიპლომატია ინტენსიურად მუშაობდა იმისათვის, რომ მსოფლიოს ეცნო ახალი სახელმწიფო, დაემყარებინა მასთან დიპლომატიური ურთიერთობები. მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის და სხვა სახელმწიფოების მეთაურებთან საბჭოთა კავშირის „დე-იურედ“ აღიარებისათვის.

საბჭოთა კავშირის ცნობა დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების მიერ, რა თქმა უნდა, გაართულებდა ქართული ემიგრაციის ბრძოლას რუსეთის კომუნისტურ რეჟიმთან, შეუწყვეტდა მას დემოკრატიული ქვეყნების სახელმწიფოთა მხრიდან მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას. ამიტომაც მათ გაააქტიურეს თავისი მოღვაწეობა როგორც საზღვარგარეთ, ისე ქვეყნის შიგნით. მაგრამ ნ. ჟორდანიას მთავრობა წინააღმდეგობის მოძრაობის ხელმძღვანელობას აფრთხილდებდა, რომ აჯანყება წარმატებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოხერხდებოდა: 1. აჯანყებულთა მოქმედების სრული სინქრონიზაცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე; 2. არ იქნებოდა უზრუნველყოფილი ჯმიერკავკასიის რესპუბლიკების ანტიკომუნისტური ძალების მჭიდრო თანამშრომლობა საერთო მტრის წინააღმდეგ; 3. თავისუფლებისმოყვარე ჩრდილო კავკასიელი ხალხები აქტიურად

უნდა ჩაბმულიყვნენ ანტიკომუნისტურ აჯანყებაში; 4. დასავლეთ ევროპის წამყვან სახელმწიფოებს ყოველმხრივი დახმარება უნდა აღმოეჩინათ ამიერკავკასიის ხალხებისათვის თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ეროვნული  
ნიშნით

აჯანყებისათვის მზადების პერიოდში ქაქუცა ჩოლოყაშვილს ინტენსიური კავშირი ჰქონდა „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ხელმძღვანელობასთან, იღებდა ინსტრუქციებს, თანხმდებოდნენ სამხედრო ოპერაციების მიმდინარეობის კონკრეტულ საკითხებზე. მათი მითითებით ცდილობდა ინტენსიური ურთიერთობა დაემყარებინა ჩეჩნებთან, დაღესტნელებთან, ჩრ. კავკასიის სხვა ხალხებთან. საქართველოს საგანგებო კომისიას ჰქონდა ინფორმაცია, რომ უკვე 1924 წლის მაისში ქაქუცას ჩამოუვიდა ქისტების 100 კაციანი რაზმი. ივლისის პირველ რიცხვებში მოხერხდა ქაქუცას კურიერის დაპატიმრება, რომელსაც აღმოუჩინეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრის გ. წინამძღვრიშვილის დაშიფრული წერილი. აქედან მთავრობამ შეიტყო ჩრ. კავკასიელ ანტიკომუნისტურ დაჯგუფებებთან პარტიზანების ურთიერთობის შესახებ. აქვე იყო დირექტივა, რომელიც კახელ პარტიზანებს ავალებდა მწყობრიდან გამოეყვანათ კახეთის რკინიგზა, რათა მთავრობას გაძნელებოდა სამხედრო ეშელონების გადაადგილება აჯანყების სიღრმეში.

როგორც ირკვევა, საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა, თავისი აგენტურული ქსელის აქტიური მუშაობის შედეგად, კარგად იყო ინფორმირებული აჯანყებისათვის მზადების შესახებ. მათ მისი დაწყების თარიღიც კი იცოდნენ.

„დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ აჯანყება რამდენჯერმე გადადო. 7 აგვისტოს დააპატიმრეს ვ. ჯუღელი. საბოლოოდ გადაწყდა, რომ აჯანყება დაიწყებოდა 1924 წლის 29 აგვისტოს. მთავარსარდლად დაინიშნა გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე.

წინასწარშემუშავებული გეგმის მიხედვით აჯანყება თბილისში უნდა დაწყებულიყო, სადაც ადგილობრივ ძალებს ქ. ჩოლოყაშვილისა და მ. ლაშქარაშვილის შეიარაღებული ფორმირებები დაეხმარებოდნენ. ნავარაუდები იყო ვაზიანის საარტილერიო პოლკის განეიტრალება. თბილისში დაწყებული აჯანყება მთელ საქართველოში უნდა გავრცელებულიყო. თბილისის შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ბათუმს,

რომელიც ევროპიდან საჭირო დახმარების მიღების პლაცდარმად მოიაზრებოდა. მაგრამ აჯანყების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ხელისუფლებამ ბათუმში დამატებითი სამხედრო ნაწილები შეიყვანა, რითაც სერიოზულად გააძნელა დასახული გეგმის რეალიზაცია და თავისი პოზიციები ამ ქალაქებში მნიშვნელოვნად განამტკიცა.

საბრძოლო მზადება მიმდინარეობდა ქაქუცას რაზმშიც. 24 აგვისტოს მასთან ტყეში მივიდნენ „დამკომის“ წევრები: მთავარსარდალი ს. ჭავჭავაძე, ი. ჯავახიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, შ. ამირეჯიბი და ბოჭორიშვილი. ამასთან დაკავშირებით პარტიზანთა ბანაკში გაიმართა ალღუმი. კ. ანდრონიკაშვილმა წარმოთქვა პატრიოტული სიტყვა და დადებითად შეაფასა ქ. ჩოლოყაშვილის მოქმედება, გადასცა ეროვნული დროშა და უსურვა გამარჯვება. მისი ბოლო სიტყვები ჩაიკარგა მებრძოლეების მიერ ენთუზიზმით წარმოთქმულ შეძახილებში: „გაუმარჯოს ქაქუცას! გაუმარჯოს საქართველოს!“

ამის შემდეგ ქაქუცას რაზმის წევრები მწობრი ნაბიჯით მანგლისისაკენ გაემართნენ. სოფლის განაპირას რუსული სამხედრო სკოლა იყო, რომელშიც საბჭოთა ჯარის ნაწილები იყვნენ განლაგებულნი. შუალამისას პარტიზანებმა სკოლა იერიშით აიღეს. მონინალმდევე გაიქცა, პარტიზანებს ნადავლად დარჩათ იარაღი, ტყვეია-ნამალი.

29 აგვისტოს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეიარაღებული გამოსვლები დაიწყო. განსაკუთრებით აქტიური იყო გურიის რეგიონი, სადაც აჯანყების წარმატება აშკარა იყო.

ქაქუცას რაზმელებმა განაგრძეს საბრძოლო ოპერაციები და შევიდნენ სოფელ პრიუტში, დაიკავეს წინარეხი. ამ სოფლის მღვდელმა კობახიძემ „დამკომის“ წევრებსა და ქაქუცა ჩოლოყაშვილს ჩინებული ვახშამი გაუმართა. პარტიზანებმა შემდეგ აიღეს კავთისხევი, ჩავიდნენ შიო მღვიმეში და მონასტრის მახლობლად დაბანაკდნენ. საბჭოთა ხელისუფლების მიერ წინასწარ განხორციელებული სადამსჯელო ღონისძიებების გამო ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ვერ მიიღო სათანადო შევსება. მიუხედავად ამისა, მან გააგრძელა წინსვლა, გადავიდა არაგვის ხეობაში და 3-4 სექტემბერს დაიკავა დუშეთი. ამ ბრძოლების მონაწილე ალ. კარგარეთელი ასე იგონებს ბრძოლის პერიპეტიებს: „ლამის 2



საათზე შევედით სროლით. მტრის ცხენოსანი რაზმი უბრძოლველად გაიქცა. გავტყუებთ ციხე. გავანთავისუფლეთ ტყვეები. დილით კი მოგვიხდა დიდი ბრძოლა“.

ეროვნული  
არქივი

დუშეთიდან წამოსულმა პარტიზანებმა 5 სექტემბერს არღეს ერწო, მეორე დღეს კი სიმონიანთხევში სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. ამ ბრძოლაში ქაქუცამ მონინალმდეგის ორასამდე მებრძოლი დაატყვევა. პარტიზანებმა ისინი განაიარაღეს და ქაქუცამ ყველა სახლში გაუშვა. აქედან რაზმი კახეთში გადავიდა და ხევგრძელასთან დაბანაკდა.

ამ დროს საბჭოთა ხელისუფლებას აჯანყების ძირითადი კერები უკვე ლიკვიდირებული ჰქონდა და მთელი ძალები შეფიცულთა წინააღმდეგ წარმართა. წითელი არმიის ნაწილებმა ალყა შემოარტყეს ხევგრძელასთან მყოფ პარტიზანებს. გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. ხელისუფლებამ ზარბაზნებიც კი გამოიყენა. ქაქუცამ ოსტატური მანევრით მტრის ალყა გაარღვია და რაზმი სამშვიდობოს გაიყვანა.

რაზმთან ერთად მარტო დარჩენილმა ქაქუცამ საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა. ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა, რომელმაც იცოდა მისი ადგილსამყოფელი, საიდუმლოდ შესთავაზა ცოლ-შვილთან ერთად ქვეყნის დატოვება. ქაქუცამ სანაცვლოდ თავისი რაზმელების ოჯახის წევრების განთავისუფლებაც მოითხოვა, რაზეც, ბუნებრივია, სასტიკი უარი მიიღო.

ქართველთა შეუთანხმებლობამ, ზოგიერთ რაიონში დათქმულ დროზე ადრე აჯანყების დაწყებამ, აჯანყებულთა რიგებში „ჩეკას“ აგენტების წარმატებულმა მოქმედებამ, მთავრობის მიერ დროულად განხორციელებულმა მობილიზაციამ, აჯანყების ხელმძღვანელების მხრიდან დაშვებულმა შეცდომებმა, დასავლეთ ევროპის ქვეყნების პასიურობამ, სამშობლოს განთავისუფლებისათვის დაწყებული დიდი ძალისხმევა ტრაგიკული შედეგებით დაასრულა: ყვირილასთან ვაგონებში ჩაცხრილეს აჯანყების მონაწილენი, კომუნისტებმა ციხეებიდან გამოიყვანეს და დახვრიტეს ისინიც კი, ვინც აჯანყების დროს პატიმრობაში იყო აყვანილი, გაანადგურეს თავადაზნაურული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი, განსაკუთრებით სამხედრო ოფიცრები, ჩეკისტების მიერ პროვოცირებული ბოგანო გლეხე-

ბი სოფლებში თავადაზნაურთა ოჯახებს ანიოკებდნენ, არ ინდობდნენ ქალებს და ბავშვებს. აჯანყება დამარცხდა.

აჯანყების შესახებ იმთავითვე იყო და დღესაც არის აზრთა სხვადასხვაობა. ისტორიკოსები იმასაც აღნიშნავენ, რომ აჯანყებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მან ნათელყო, რომ ქართველი ხალხი ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაკარგვას არასოდეს შეურიგდებოდა და თავისუფლებისათვის თავგანწირვით იბრძოლებდა“ (ფ. ლომაშვილი), და არიან ისეთები, რომლებიც თვლიან, რომ „1924 წლის აჯანყებამ დიდი უბედურების გარდა, რაიმე დადებითი შედეგები ქართველ ხალხს ვერ მოუტანა“ (გ. ციციშვილი). ჭეშმარიტებამდე ჯერ კიდევ შორს არის, მაგრამ გასათვალისწინებელია თვალსაჩინო ქართველი პოლიტიკური მოღვაწის, ირაკლი წერეთლის შემდეგი სიტყვები: „ჩვენ დავაყენეთ არა აჯანყების დაგმობის საკითხი, არამედ საკითხი ხელმძღვანელი ორგანიზაციების ტაქტიკის დაფასებისა და ჩვენ რომ თვითოეული ხელმძღვანელის გასამართლება მოგვეთხოვა, ეს არ იქნებოდა აჯანყებულთა საქმის შეურაცხყოფა... აჯანყების კეთილშობილი მიზანი არ ათავისუფლებს ხელმძღვანელ ორგანიზაციებს იმის პასუხისმგებლობიდან, თუ რამდენად სწორი იყო მათი ტაქტიკა, მათი ხელმძღვანელობა“.

\*\*\*

ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი შეფიცულები, ცხენებზე ამხედრებულნი, მიუახლოვდნენ საქართველო-თურქეთის საზღვრისპირა სოფელს: აქ სამი ქვეყნა - საქართველო, თურქეთი და სომხეთი ემიჯნებოდა ერთმანეთს. ლტოლვილები ფრთხილობდნენ, მუდამ შესაძლებელი იყო მდევრის გამოჩენა. შებინდებისას ისინი თურქეთის საზღვარზე გადავიდნენ. საქართველოს „ჩეკას“ ცნობით საზღვარი ქაქუცასთან ერთად 22 მებრძოლმა გადაკვეთა (თ. ენდელაძე).

მოსახლეობა გულთბილად შეხვდა ქართველ მებრძოლებს. თურქეთის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჯერ სადილი გაუმართეს ლტოლვილებს, ხოლო შემდეგ, მათი კანონების მიხედვით, იარაღის ჩაბარებაც მოსთხოვეს. ქაქუცამ და მისმა თანხლებმა მეგობრებმა გაყიდეს ცხენები, რომ მიღებული ფულით ევროპაში გასამგზავრებელი თანხა მოეგროვებინათ. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ შეფიცულები პარიზში ჩავიდნენ.

ქართველი მამულიშვილებისათვის დაინყო ძალღმადგური ემიგრანტული ცხოვრება. ქაქუცას ერთ-ერთი შეფიცული ალ. კარგარეთელი ასე აღწერს პარიზში გატარებულ პირველ თვეებს: „დაინყო ჩვენი დუხჭირი ცხოვრება საფრანგეთში. გაჭირვებულებმა დავინწყეთ სამუშაოს ძებნა. ზოგი საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში გავიფანტენით... ქაქუცა პარიზში დაბინავებულიყო, რადგან არ უნდოდა შეფიცულების დაქსაქსვა სხვადასხვა ქალაქში, გადანწყვიტა მათი ერთად ყოფნა. პარიზის მახლობლად ვიროფლეიში იქირავა სახლი, სადაც ყველა შეფიცული ჩამოიყვანა და ერთად დაასახლა“.

არსებობისათვის ყოველდღიურ ბრძოლაში ქართველებმა ბევრი განსაცდელი გადაიტანეს. ხშირად პურის საყიდელი ფულიც კი არ ჰქონდათ. თუ ქაქუცა როგორმე იშოვიდა მცირეოდენ თანხას, ან მას რაიმეს აჩუქებდნენ მაშინვე ძმადნაფიცებს უნანილებდა. ერთხელ ალ. სულხანიშვილს, რომელსაც ფინანსური პრობლემები შეექმნა, ქაქუცამ თავისი ოქროსწარწერიანი ვერცხლის პორტსიგარა აჩუქა - გეტყობა გიჭირს, გაყიდე და მოიხმარეო. ალ. სულხანიშვილმა საჩუქრის გაყიდვა არ მოინდომა, დააგირავა, აღებული ფულით ფინანსური პრობლემები არა მარტო მოაგვარა, არამედ მოგებაც მიიღო და ძვირფასი საჩუქარი პატრონს უკან დაუბრუნა: -“ნაჩუქარია, შენ უფრო წაგადგება” - განუცხადა მან ქაქუცას.

პარიზში ჩამოსულ ყოფილ პარტიზანებს გარკვეული დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ ემიგრანტულ მთავრობასთან, სოციალ-დემოკრატებთან. აჯანყების წარუმატებლობის გამო პასუხისმგებლობის ტვირთი სერიოზულ დავას იწვევდა ქართველებში. განსაკუთრებული გაკვირვება გამოიწვია ირ. წერეთლის გამოსვლამ 1925 წელს პარიზში, ერთ-ერთ შეკრებაზე, სადაც მან განაცხადა: „სოციალ-დემოკრატია ვალდებულია უჩვენოს ხალხს განმათავისუფლებელი ბრძოლის ისეთი გზები, რომლისკენ სწრაფვა გამორიცხავს დამარცხებისთვის განწირულ აჯანყებებს. აქედან გამომდინარე უნდა გადავხედოთ ჩვენ ტაქტიკას“. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გრ. ვეშაპელი საჯაროდ აცხადებდა: „ყოფილი მინისტრები ხედავენ, რომ საქართველო შეურიგდა საბჭოთა რეჟიმს, რომ იქ სინყნარეა, რომ ასეთი „დემონსტრაციებით“ ისინი დაკარგულ ძალაუფლებას ვეღარ დაიბრუნებენ, მაგრამ განა ისინი რაიმე საშუალებას

დაზოგავენ, რომ ის „უკანაკსენელი წყალობა“ ქართველი მშრომელი ხალხის მტრებისა არ დაკარგონ, თუნდაც ამას მათი სრული მორალური დაცემა მოჰყვეს შედეგად. ორი წლის წინათ ასეთი საშუალება „ანტისაბჭოთა აჯანყება იყო“ (გ. შარაძე).

ასეთი რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები სერიოზულად დაშფოთებდათ ქაქუცას და მის მეგობრებს, ამიტომაც მათი ურთიერთობა სოციალ-დემოკრატებთან დაძაბული იყო. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია საბჭოთა კავშირის აგენტურას პარიზში დაერთ-ერთ თავის ცნობაში საბჭოთა მთავრობას აცყობინებდნენ, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ ქაქუცას დაყოლიებას ერთობლივი თანამშრომლობისათვის და ამ მიზნით არა ერთი შეხვედრაც კი შემდგარა. აგენტურული ცნობით: „ნ. რამიშვილთან ჩოლოკაევის შეხვედრა, როგორც ჩანს, უშედეგოდ დამთავრდა. განრისხებულ ჩოლოკაევს უთქვამს, რომ მასა და ყოფილ მთავრობას შორის შეიძლება სისხლიც კი დაიღვაროს“.

სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ვაჟკაცი ვერ ურიგდებოდა პარტიულ ინტრიგებს, მით უფრო, რომ ჩინებულად ახსოვდა მის წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერების ინტრიგები ხევსურეთის აჯანყების დროს.

პარიზის ჰავა საბედისწერო აღმოჩნდა ქაქუცას ჯანმრთელობისთვის. მას გაეხსნა ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დროს მიღებული ჭრილობა, რაც მალე ტუბერკულოზში გადაიზარდა.

მძიმე მდგომარეობაში მყოფ ქაქუცას ტანჯულ სამშობლოზე ფიქრი არ ასვენებდა. მეგობრები ხშირად აკითხავდნენ, ანუ გეშებდნენ, იგონებდნენ წარსულს, ერთობლივ ბრძოლებს. ქაქუცას პარიზში ხშირად ხვდებოდა ძველი მეგობარი თამარ პაპავა, რომელიც იგონებს მათ ერთ-ერთ ბოლო შეხვედრას: „თითქოს მებრძოლ საქართველოს ბელადს ბრძოლის ასპარეზი გამოაცალეს, ოცნება წაართვეს და ახლა ფრთამოტეხილ არწივს ცეცხლს ღვინო უნელებდა და სიმღერამორეულ ცრემლს უშრობდა.“

- განსოვს, თამარ, ალაკერღობა? - მეუბნებოდა ის პარიზში, ჩვენი სეკლიანის ნადიმების დროს, დაბალი ძორთოლკარე ხმით.

- განსოვს თაძარ, 26 მაისი? ის პირველი 26 მაისი?

- განსოვს, თაძარ, შუაძთის დღესასწაული?

- განსოვს, თაძარ, ხატობა და ჩემი გჭრა ტყეში?

- ნომ განსოვს ჩვენი ტა რა ფერისაა? რაძღენი  
კარსკვლაკებია. რაძღენჯერ ძითვლია ისინი  
ტყეში, მიწაზე რომ ვიწეკი და ძილი არ  
ძერქელა.

- განსოვს, თაძარ, ჩვენი საქართველო?... კრულიც  
იყოს აქ სიცოცხლე, იქ სიკვდილი განა  
ბუნდირება არ არის, თაძარ!,,

მისი ჯანმრთელობა ყოველდღიურად უარესდებოდა. მეგობრებმა გაჭირვებით მოაგროვეს ცოტაოდენი თანხა, რომ ჯეროვანი მკურნალობის საშუალება მიეცათ ოტსაუას სანატორიუმში. ავადმყოფის მდგომარეობა ჯერ გაუმჯობესდა, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა. ქაქუცას ცხოვრების უკანაქნელი დღეები განსაკუთრებით მძიმე იყო. მეგობრები თავისი თვალით ხედავდნენ, თუ როგორ ნელ-ნელა იფერფლებოდა საყვარელი ბელადი, როგორ ილეოდა, სუსტდებოდა ოდესღაც მომხიბლავი, ჩინებული ვაჟკაცი. 1930 წლის 27 ივნისს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი გარდაიცვალა.

საქართველოს ეროვნული გმირის გარდაცვალების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო საფრანგეთის ქართულ სათვისტომოს. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ორმოცდღიანი საერთო გლოვა გამოაცხადა. შეიქმნა საგანგებო დამკრძალავი კომისია. ცხედარი პარიზში ჩამოასვენეს. დაასვენეს ბერძენთა ეკლესიაში. საპატიო ყარაულში მუდმივად იდგნენ შეფიცული ძმები და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო



წევრები. დაკრძალვის დღეს, 5 ივლისს გადაიხადეს პანაშვიდი, აღავლინეს წირვა. ტაძარი ვერ იტევდა დამსწრე საზოგადოებას. საგალობლებს ქართული გუნდი ასრულებდა. კუბოს გადააფარეს სამფეროვანი ეროვნული დროშა. ქართველი პარტიზანების ბელადს ეთხოვებოდნენ ფრანგები, უკრაინის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. სამძიმრის დეპუტე გამოგზავნა თვით საფრანგეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ედუარდ ერიომ, ინგლისის თემთა პალატის წევრმა - ალენმა.

დასრულდა ზღაპარივით გაელვებული სიცოცხლე, რომელიც საქართველოში დაიწყო და შორეულ საფრანგეთში ჩაიფერფლა. ქაქუცა ჩოლოყაშვილი შთამომავლობის მეხსიერებაში დარჩა როგორც კაცი-ლეგენდა, კაცი - მებრძოლი, გმირი. მასზე კარგიც ბევრი თქმულა და კრიტიკულიც. ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი ალ. ასათიანი ასე აფასებდა ქაქუცას ფენომენს: „ქაქუცა ჩოლოყაშვილი გაიზარდა, გაუსწრო და ასცილდა პოლიტიკურ წრეთა იმ გამყოფ კედლებს, რომლებიც სავსებით ჰფარავდნენ ყველა საშუალო და დაბალის ტანის მოღვაწეებს. ქართველი ერის თვალში გახდა ეროვნულ გმირად და ეს ხარისხი ანიჭებდა მას დიდ ზნეობრივს გავლენას ერის ყველა წრესა და ყველა მიმართულებაზე“.

მიხაკო წერეთელი კი აღნიშნავდა: „მოვლენა მისი მომავალ თაობათათვის მაჩვენებელი იქნება იმისა, რომ ქართველ ერს არც მე-20 საუკუნის დასაწყისში დაუკარგავს ძალა და სურვილი გმირული ბრძოლისა თავისუფლებისათვის, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იყო მისი იდეალი და რომ საქართველოში ამ დროსაც აღმოჩნდა ძლიერი გმირი, ღირსი და შემძლე ერის თავისუფლების დროშის ტარების...“

\*\*\*


დასრულდა ცხოვრება ქართველი კაცისა, რომელსაც სამშობლო ყველაფერს ერჩია, რომელმაც ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ მისი ქვეყანა თავისუფალი და დამოუკიდებელი ყოფილიყო. მის ცხოვრებაში ეს მიზანი არ განხორციელდა და თან გაჰყვა დარდი და სევდა, იმედი და ოცნება.

დღეს კი, მრავალი წლის განმორების შემდეგ ის საქართველოში დაბრუნდა, საყვარელ სამშობლოში - რომელიც წაართვეს, იმ მიწაზე — რომელიც არ აღირსეს, იმ ცის ქვეშ — რომელიც სიზმრებში ასე ენატრებოდა. ასობით-ათასობით მისი თაყვანისმცემელი დღეს ქედს იხრის ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის უკვდავი ხსოვნის წინაშე, ხოლო მშობლიური მთაწმინდა გულში ჩაიკრავს მარადიულობასთან წილნაყარ ქართველს კაცს, რომლისთვისაც სამშობლო, მართლაც, საფიცარი იყო.



1. მოსკოვის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ.325, აღ.1, საქმე 288, ფურც.1-2; საქმე 512, ფურც. 2.
2. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ. 4, საქმე 213, ფურც. 2,18.
3. ქაქუცა ჩოლოყაშვილი, შემდგენელი: გ. შარაძე, თბ., 1989
4. გ. ციციშვილი, სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ, თბ., 2004.
5. გ. ციციშვილი, სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, თბ., 2003.
6. ფ. ლომაშვილი, საქართველოს ისტორია, XI კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1997.
7. ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1991.
8. თ. ენდელაძე, საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-1925 წ.წ.), საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 2003.
9. პ. ნაცვლიშვილი, საქართველოს მინა, თბ., 1994.
10. ა. კარგარეთელი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, პარიზი, 1981.





11. მ. ლვინიაშვილი, ლამაზად შვილის გამზრდელი, „ერი“, 1992, 26 მაისი.
12. შეფიცულ ბადურაშვილის თავგადასავალი. „მამული“, №№ 21, 24, 25, 26.
13. ე. გიორგაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ფენომენი, „ეკრანის ამბები“, 1990, 5-21 ივლისი.
14. ზ. გურული, შეფიცულთა ბელადი, „კვირის პალიტრა“, 2000, 17-23 ივლისი.
15. მ. ლვინიაშვილი, მთავარია ერთმანეთს არ ვუღალატოთ; „განათლება“, 1993, 29 ოქტომბერი.
16. დ. შველიძე; ნ. ჯავახიშვილი, ბ. კუპატაძე, 1924 წელი — დღევანდელი გადასახედიდან, „24 საათი“, 2004, 31 აგვისტო.
17. ნ. ავალიშვილი, მოგონებანი გარდასულ დღეთა, „სამშობლო“, 1991, №15.
18. თ. კუკავა, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის წინაპრები, „ახალგაზრდა ივერიელი“, 1990, 26 მაისი .
19. თ. პაპავა, გარდატყდა ხმალი შენი, „ლიტერატურული საქართველო“, 1989, 27 ოქტომბერი და სხვ.



ქართული  
ზოგადი ბიბლიოთეკა